# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ივლისი **შაბათი** 2011

№ 177 (13474) ფასი 80 თეთრი




## სეზონს ავსტრიელები გაგვხსნით

საქართველოს ეროვნული გუნდი დღეს 2011 წლის პირველ მატჩს ჩაატარებს

12

# დღეს საქართველო მსოფლიოზე იღელვებს




2




„არსენალი" საამიროების თასზე საასპარეზოდ ემზადება, კაპიტანი კი გუნდიდან დროებით მოკვეთეს - არსენ ვენგერის გადაწყვეტილებით, სესკ ფაბრეგასი გუნდს ჩამოაშორეს, რათა მან საბოლოოდ გადაწყვიტოს, ან გადავიდეს „ბარსელონაში" და დაემშვიდობოს „მეთოფეებს", ან ისევ გულდასმით მოეკიდოს საქმეს და კატალონიაში დაბრუნებაზე აღარ იფიქროს. *„სესკი ორ საყვარელ კლუბს შორის არის გაჭედილი, მე მისი კარგად მესმის, მაგრამ დროა, ჩვენც ვიცოდეთ, რას ველოდოთ მისგან"*, - თქვა ვენგერმა.

საამიროების თასზე „არსენალის" გარდა ლონდონში „პარი სენ ჟერმენი", „ნიუ იორკი" და „ბოკა ხუნიორსი" ითამაშებენ, ოთხთა ტურნირი 30-31 ივლისს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## არსენმა სესკი არსენალიდან მოკვეთა

## უეფამ მოურინიო სანახევროდ შეიწყალა



ჟოზე მოურინიო განაჩენის მოლოდინში

გუშინ უეფას შტაბბინაში „რეალის" საჩივრის განხილვა 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, „სამეფო კლუბი" ჟოზე მოურინიოს 5-მატჩიან დისკვალიფიკაციას აპროტესტებდა. მოურინიომ სხდომა უკომენტაროდ დატოვა, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ მას სასჯელი სამ მატჩამდე შეუმცირეს. „განსაკუთრებულმა" ერთი საჯარიმო მატჩი უკვე გამოტოვა (საპასუხო ნახევარფინალი „ბარსელონასთან"), ასე რომ, „რეალს" ის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ პირველ ორ ტურში დააკლდება.

შეგახსენებთ, რომ უეფამ მოურინიო ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალის შემდეგ მკვახე გამონათქვამებისთვის დასაჯა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები. ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპის წილისყრა

# დღეს ვინერვიულოთ და ვიოცნებოთ

## ვარიანტი იმდენია... თუმცა ყველაფერი ხომ ბედზე ჰკიდია

დღეს საღამოს რიო დე ჟანეიროში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართება და საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეთა ვინაობასაც გავიგებთ.

უკვე გაუწყეთ რომ, ნაკრებები კალათებში ფიფას რეიტინგში დაკავებული ადგილების მიხედვით ნაწილდებიან. რაკი ივლისში ევროპულ გუნდებს არ უთამაშიათ, რეიტინგში მათი თანმიმდევრობა არ შეცვლილა და კალათების შემადგენლობაც, ფაქტობრივად, ერთი თვის წინ განისაზღვრა.

**პირველი კალათი:** ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, იტალია, პორტუგალია, ხორვატია, ნორვეგია, საბერძნეთი.

**მეორე კალათი:** საფრანგეთი, ჩერნოგორია, რუსეთი, შვედეთი, დანია, სლოვენია, თურქეთი, სერბეთი, სლოვაკეთი.

**მესამე კალათი:** შვეიცარია, ისრაელი, ირლანდია, ბელგია, ჩეხეთი, ბოსნია, ბელარუსი, უკრაინა, უნგრეთი.

**მეოთხე კალათი:** ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო, ლიტვა, ალბანეთი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, ავსტრია, პოლონეთი.

**მეხუთე კალათი:** სომხეთი, ფინეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, მოლდოვა, მაკედონია, აზერბაიჯანი, ფარერები.

**მეექვსე კალათი:** უელსი, ლიხტენშტაინი, ისლანდია, ყაზახეთი, ლუქსემბურგი, მალტა, ანდორა, სან მარინო.

53 ევროპული ნაკრებიდან ბრაზილიაში მხოლოდ 13 გაემგზავრება. შეიქმნება 9 ჯგუფი, საიდანაც 8-ში 6-6 გუნდი იქნება, ერთში კი - 5. ჯგუფების გამარჯვებულები მუნდიალის საგზურს ავტომატურად მიიღებენ, ყველაზე უარესი შედეგის მქონე მეორეადგილოსანი თამაშგარეში დარჩება, დანარჩენი რვა კი ოთხ წყვილს შეადგენს და ბოლო ოთხ საგზურსაც ისინი გაითამაშებენ.

შეგახსენებთ, ჩვენს ეროვნულ გუნდს **თემურ ქეცბაიას** დანიშვნამდე გაცილებით უარესი რეიტინგი ჰქონდა. ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრისას საქართველოს ნაკრები მეხუთე კალათის ბინადარი იყო, ახლა კი ერთი კალათით ზემოთაა.

კალათების შემადგენლობას დაკვირვებით თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ უმძიმეს, ხელსაყრელ თუ საშუალო სიძლიერის ჯგუფში მოხვედრის დაახლოებით ერთნაირი შანსი გვაქვს და ვნახოთ, იქნება თუ არა იღბალი ჩვენს მხარეს.

ჩვენი ორი ამჟამინდელი მეტოქე, ხორვატია და საბერძნეთი, პირველკალათელია და იქ მოხვედრილ სხვა გუნდებს თუ გადავხედავთ, ზემოთ ნახსენები ორიდან რომელიმესთან კვლავ შეხვედრა ურიგო პერსპექტივა არ უნდა იყოს. ნორვეგიაც უთუოდ კარგი ვარიანტია, დანარჩენებზე კი რა გითხრათ...

FIFA WORLD CUP
Brasil

ჩერნოგორიამ ბოლო დროს სერიოზული პროგრესი კი განიცადა, მაგრამ მეორე კალათიდან მაინც მათი შეხვედრა უნდა ვისურვოთ. ხელწამოსაკრავი გუნდები არც მესამე კალათში არიან და უკრაინა და შვეიცარია უხერხულ მეტოქეებად უნდა მივიჩნიოთ, უნგრეთი, ბელარუსი, ბოსნია და თუნდაც ბელგია კი, ნორმალური ვარიანტი უნდა იყოს.

მეოთხეკალათელებიდან, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებთან ვერავინ მოხვდება, მეხუთე და მეექვსე კალათებში სასურველი მეტოქე ბევრია, მაგრამ უსიამოვნო ვარიანტებიც არსებობს კვიპროსისა და უელსის სახით.

გავიხსენოთ: ახლახან ფიფამ გამოაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებები ერთ ჯგუფში არ მოხვდებიან, ისევე, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი (თუმცა ეს ორი ისედაც ერთ კალათში აღმოჩნდა). ასე რომ, მეორე კალათიდან ჩვენი პოტენციური მეტოქე მხოლოდ რვა გუნდია.

ქვემოთ კი "ლელოს" სუბიექტურ აზრს შემოგთავაზებთ და თითოეული კალათიდან ჩვენი აზრით ყველაზე სასურველ და არასასურველ მეტოქეებს დავასახელებთ.







### ჯგუფი „მეტი რა გინდა?!"

ნორვეგია
ჩერნოგორია
უნგრეთი
ფარერები
სან მარინო

### ჯგუფი „მეტი აღარავინ იყო?!"

ესპანეთი
საფრანგეთი
უკრაინა
კვიპროსი
უელსი

## ეს სია პან ჟმუდასია

პოლონეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფრანტიშეკ ჟმუდამ** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც საქართველოსთან 10 აგვისტოს ჩასატარებელი ამხანაგური მატჩისთვის უხმო:

მეკარეები: **ვოიცეხ შჩესნი** ("არსენალი", ინგლისი), **გჟეგოჟ სანდომიერსკი** ("იაგელონია").

მცველები: **მაცეი სადლოკი, ტომაშ იოდლოვიცი** (ორივე - "პოლონია"), **ლუკაშ პიშჩეკი** ("დორტმუნდი", გერმანია), **არკადიუშ გლოვაცკი** ("ტრაბზონსფორი", თურქეთი), **გჟეგოჟ ვოიტკოვიაკი** ("ლეხი"), **იაკუბ ვავრინიაკი** ("ლეგია").

ნახევარმცველები: **ადამ მატიშეკი, სლავომირ პეშკო** (ორივე - "კიოლნი", გერმანია), **დარიუშ დუდკა** ("ოსერი", საფრანგეთი), **ლუდოვიკ ობრანიაკი** ("ლილი", საფრანგეთი), **ეუგენ პოლანსკი** ("მაინცი", გერმანია), **იაკუბ ბლაშიკოვსკი** ("დორტმუნდი", გერმანია), **ადრიან მეირჟეჩევსკი** ("ტრაბზონსფორი", თურქეთი), **რაფალ მურავსკი** ("ლეხი"), **შიმონ პავლოვსკი** ("ზაგლებიე").

თავდამსხმელები: **რობერტ ლევანდოვსკი** ("დორტმუნდი", გერმანია), **პაველ ბროჟეკი** ("ტრაბზონსფორი", თურქეთი), **მიხალ კუხარჩიკი** ("ლეგია").

## ტრავმა ახლა და, ისიც მე-5 წუთზე...

უკვე გაცნობეთ, რომ ესპანურ "ხეტაფესთან" საკონტროლო მატჩის მე-5 წუთზე მოედანი დატოვა **ზურაბ ხიზანიშვილმა**. ბუნებრივია, "ქაისერისფორის" თავკაცი **შოთა არველაძე** გუნდის ქართველ ახალწვეულს ასე ნაადრევად უმიზეზოდ არ შეცვლიდა. როგორც გაირკვა, მეტოქესთან ორთაბრძოლისას ხიზანიშვილმა ფეხი დაიზიანა. მისი ტრავმის სიმძიმის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ზურაბ ხიზანიშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ შოთა გრიგალაშვილთან


შოთა გრიგალაშვილი (მარჯვნივ)

# 1:1 ეს არ არის კატასტროფა

## ზესტაფონი: ეგეთებიც გვინახავს

**შანსი გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ – ასეთია "ზესტაფონის" წევრთა განწყობა ავსტრიულ "შტურმთან" საპასუხო დაპირისპირების წინ. პირველი მატჩის საუკეთესო მოთამაშე შოთა გრიგალაშვილი დღეს "ლელოს" რესპონდენტია და თანაგუნდელთა მსგავსად, გრაცში გასამართ შეხვედრას არცთუ უიმედოდ ელის.**

**- "შტურმთან" აშკარად გამორჩეული იყავი.**

- საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. ძალიან მოვინდომე და რაც შემეძლო, გავაკეთე, მთელმა გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, საშინლად არ გაგვიმართლა.

**- ვერმოგებას მხოლოდ უიღბლობას აბრალებ?**

- რა გითხრათ, ფაქტია, რომ თამაშში სული და გული ჩავაქსოვეთ, მაგრამ ბედი არ გვწყალობდა. უნდა მოგვეგო, მაგრამ... თუმცა ისიც ვიცი, რომ მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც მეტი შეგვიძლია და ვალდებულები ვართ, ეს ავსტრიაში დავამტკიცოთ.

**- რა დაგავალათ მწვრთნელმა მატჩამდე და შესვენებისას?**

- ბურთზე კონტროლი, რაც მოვახერხეთ კიდეც. შეტევაში აქტიურად უნდა გვეთამაშა და საკუთარი კარი მშრალად შეგვენახა. მიზნის მიღწევამდე მცირედი დაგვაკლდა, ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით.

**- მოგვეჩვენა, რომ შენ გარდა შორიდან დარტყმას ვერავინ ბედავდა. არადა, საჯარიმოს გარედან კინაღამ გოლიც გაიტანე.**

- ძალიან დამწყდა გული, კარგად დავარტყი და მიზანმა ოდნავ მიმტყუნა, ბურთი ძელს მოხვდა. შორიდან დარტყმას ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ "შტურმთან" ამის საშუალება ნაკლებად გვეძლეოდა. "ზესტაფონში" საჯარიმოს გარედან დარტყმა სხვებსაც ეხერხებათ და ასე არაერთი გოლიც გაგვიტანია, უბრალოდ, ამ მატჩში ასეთი ვითარება იყო.

**- "შტურმს" ზესტაფონის ნაცვლად თბილისში უმასპინძლეთ. ამან დისკომფორტი ხომ არ შეგიქმნათ?**

- უსიამოვნო მხოლოდ დიდი სიცხე და უხარისხო მოედანი იყო. მერწმუნეთ, ამ ორი ფაქტორის კვალობაზე მაქსიმალურად სწრაფ ტემპში ვითამაშეთ. გულშემატკივრებს კი უღრმესი მადლობა, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ თავი სრულიად შინაურ გარემოში ვიგრძენით. მოედნის ფაქტორმა ხელი ჩვენ უფრო შეგვიშალა, რადგან კომბინაციურად ვთამაშობდით, კონტრშეტევებზე მოქმედი "შტურმისთვის" კი ეს ხელსაყრელიც იყო.

**- მოვლენათა ასეთმა უსიამოვნო განვითარებამ გუნდი, კონკრეტულად კი, შეცდომის დამშვები ფეხბურთელები ხომ არ დათრგუნა?**

- ნიკა გელაშვილი მომხდარს ძალიან განიცდიდა, მაგრამ დავამშვიდეთ და საბრძოლოდ განვაწყვეთ. დღეს ყველა, მისი ჩათვლით, იდეალურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. ჩვენს ბაზაზე ვვარჯიშობთ და მძიმედ დაშავებული გიორგი ხიდეშელის გარდა, თავს ყველა კარგად გრძნობს.

**- ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში მოხვედრისა და, შესაბამისად, ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის განაღდების როგორი შანსი აქვს "ზესტაფონს"?**

- საკმაოდ რეალური. გვესმის, რომ შეიძლებოდა, "შტურმისთვის" თბილისში 2:0 მოგვეგო, მაგრამ არც 1:1-ია კატასტროფული ანგარიში. დაკარგული არაფერი გვაქვს, "შტურმი" გადაულახავი ბარიერი ნამდვილად არ არის და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად თავს არ დავზოგავთ. "ზესტაფონი" ამაზე მძიმე მდგომარეობაშიც ყოფილა, მაგრამ თავი არ შეურცხვენია. შარშანწინ ხომ შინ "ჰელსინგბორგთან" 1:2 დავმარცხდით და სტუმრად ორი გოლი გავუტანეთ. ავსტრიაში გატანაც შეგვიძლია და იმის დამტკიცებაც, რომ თბილისური შედეგი შემთხვევითობა იყო.

U19

# რძის რიგში მეოთხენი ვართ



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ბელფასტში Milc Cup-ზე ასპარეზობა მარცხით დაასრულა. გუშინ ჩვენები მესამე ადგილისთვის მატჩში აშშ-ის გუნდს შეხვდნენ და 1:2 წააგეს.

შეგახსენებთ, ქართველებმა ტურნირი მექსიკის ძლევით დაიწყეს, მაგრამ გამარჯვებას ორი მარცხი მოაყოლეს — ჯერ მასპინძელ ჩრდილოეთ ირლანდიასთან, მერე კი გუშინდელი - ამერიკელებთან.

ევროპის ლიგა

# პლეიოფამდელი ვარაუდები

## გზა მაღალი საზოგადოებისკენ

"დინამო" ცალი ფეხით უკვე ევროპის ლიგის პლეი ოფშია და თუ ჩემპიონთა ლიგაზე "შტურმის" ბარიერი ვერ გადალახა, იქ თამაში დაბევებული აქვს "ზესტაფონსაც". ასე რომ, მიმდინარე სეზონი ორი ქართული კლუბისთვის წარმატებულად მიმდინარეობს და იმედია, ჯგუფური ეტაპით წლეულს მაინც ვისიამოვნებთ.

თუკი საპლეიოფო ეტაპი წინა წლებში საოცნებოდ გვქონდა, ახლა იქ მინიმუმ ერთი ქართული კლუბი მაინც ითამაშებს და ალბათ გაინტერესებთ, ვისთან მოუწევთ ქართველებს დაპირისპირება ჯგუფური ეტაპისკენ სავალი გზის ბოლო მონაკვეთზე.

არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვით, რომ ძალიან ბევრი რამ აქაც იღბალზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ჩვენი კლუბი (იქნებ, კლუბებიც) ევროგრანდს გადაეყაროს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, ისეთი მეტოქე შეხვდეს, მასთან ბრძოლაში მოზრდილი შანსი რომ ექნება.

ბუნებრივია, პლეი ოფში განუთესავები ვიქნებით. განთესილთა საბოლოო სია მხოლოდ ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებითი მატჩების შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა პოტენციურ მოწინააღმდეგეთა მიახლოებითი ცხრილის შედგენა მაინც შესაძლებელია.

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ოთხ-ოთხი კლუბისგან დაკომპლექტებული 12 ჯგუფია. ჯგუფურ რაუნდში პირდაპირ ვერავინ ხვდება, იქ თამაშის უფლებას ევროპის ლიგის პლეი ოფში გამარჯვებული 38 და ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში დამარცხებული 10 გუნდი მიიღებს.

როგორც უკვე გითხარით, ორი ევროტურნირის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდზეა დამოკიდებული, როგორ შეივსება განთესილი 38-ეული, ჩვენ კი გადავწყვიტეთ, სავარაუდო მეტოქეთა რიცხვი ოდნავ გავზარდოთ და უეფას საკლუბო რეიტინგზე დაყრდნობით 38-ში მოხვედრის კანდიდატების სია შემოგთავაზოთ. ოღონდ, აქედან ზოგიერთი ევროპის ლიგას, შესაძლოა, მესამე ეტაპზევე დაემშვიდობოს.

ევროპის ლიგის პლეი ოფში ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებულებიც ითამაშებენ და ვნახოთ, ვის აქვს აქ მოხვედრის პერსპექტივა. აქაც მხოლოდ უხეშ გათვლებს თუ გამოვიყენებთ და მესამე ეტაპის პირველი მატჩების მიხედვით ვიმსჯელებთ.

ცნობისთვის: თუ "ზესტაფონმა" "შტურმი" გააგდო, ავსტრიის ჩემპიონს ევროპის ლიგის პლეი ოფში განსათესად რეიტინგი არ ჰყოფნის.

დიდია იმის ალბათობა, რომ ჩემპიონთა ლიგიდან ევროპის ლიგაზე განთესვისთვის საჭირო რეიტინგის მქონე ხუთმა კლუბმა გადაინაცვლოს. მაგალითად, "დინამომ" (უკრაინა), "რეინჯერსმა" (შოტლანდია), "სტანდარდმა" (ბელგია), "რუსენბორგმა" (ნორვეგია), აპოელ-მა (კვიპროსი). შესაბამისად, წარმოგიდგენთ ევროპის ლიგის მონაწილე საუკეთესო რეიტინგის მქონე 33 კლუბს:

აეკ (საბერძნეთი)
პაოკ (საბერძნეთი)
ანდერლეხტი (ბელგია)
ბრიუგე (ბელგია)
ატლეტიკი (ესპანეთი)
ატლეტიკო (ესპანეთი)
სევილია (ესპანეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)
ტოტენჰემი (ინგლისი)
ბირმინგემი (ინგლისი)
ფულჰემი (ინგლისი)
სტოკი (ინგლისი)
სელტიკი (შოტლანდია)
შალკე (გერმანია)
ლაციო (იტალია)
რომა (იტალია)
პალერმო (იტალია)
ლოკომოტივი (რუსეთი)
სპარტაკი (რუსეთი)
მეტალისტი (უკრაინა)
პსჟ (საფრანგეთი)
რენი (საფრანგეთი)
პსვ (ჰოლანდია)
ალკმაარი (ჰოლანდია)
ბრაგა (პორტუგალია)
სპორტინგი (პორტუგალია)
სტიაუა (რუმინეთი)
ზალცბურგი (ავსტრია)
აუსტრია (ავსტრია)
ჰაპოელი თ. (ისრაელი)
ანორთოსისი (კვიპროსი)
სპარტა (ჩეხეთი)
იანგ ბოიზი (შვეიცარია)

ნასიონალი* (პორტუგალია)
ჰანოვერი* (გერმანია)
მაინცი* (გერმანია)
დნიპრო* (უკრაინა)
სოშო* (საფრანგეთი)


ქართული კლუბების პოტენციურ მეტოქეთა შორის დიეგო ფორლანის ატლეტიკოც არის

აქ 33-ზე 5-ით მეტი კლუბი წარმოვადგინეთ, რომელთაგანაც განთესილებში ისინი იმ შემთხვევაში მოხვდებიან, თუ საუკეთესო 38-ეულში მყოფთაგან რომელიმე პლეი ოფამდე ვერ მიაღწევს (პრიორიტეტი აქვს "ნასიონალს", შემდეგ "ჰანოვერს" და ა.შ.). ასე, მაგალითად: განთესვის კანდიდატთაგან გავარდნისკენ "დიდი ნაბიჯი გადადგა" "გაგრას" მძლეველმა "ანორთოსისმა", რომელიც შინ მაკედონიურ "რაბოტნიჩკისთან" 0:2 დამარცხდა. კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ კალათების შედგენაზე გავლენას ჩემპიონთა ლიგის მატჩებიც მოახდენს და განთესილ-განუთესავებში, ალბათ, მცირე კორექტივებსაც შეიტანს.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის პლეი ოფების წილისყრა 5 აგვისტოს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კლუბები

# ჩვენი ევრო სეზონი გრძელდება

UEFA CHAMPIONS LEAGUE

UEFA EUROPA LEAGUE



ზესტაფონი-შტურმი. ნიკა გელაშვილის მომენტი - მეკარე უკან, ცარიელი კარი წინ და...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევროტურნირების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები მომდევნო კვირაში უნდა ჩატარდეს, მაგრამ თითქმის 100 პროცენტით შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ: ქართული გუნდებისათვის 2011 წლის ევროზაფხული კლავაც გრძელდება! ანუ, როგორც არ უნდა დასრულდეს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრები, რანგით მეოთხე, ანუ პლეი-ოფის რაუნდში ორი ქართული გუნდი იასპარეზებს! ასეთი რამ კი 1993 წლიდან (ანუ, რაც ჩვენი გუნდები ევროტურნირებზე დაუშვეს) არ მომხდარა და „ზესტაფონიცა“ და „დინამოც“ არამხოლოდ თავიანთ, არამედ, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ისტორიასაც „წერენ“!..

...„ზესტაფონმა“ თუ შეძლო და „შტურმთან“ განმეორებითი მატჩი თავისთვის სასურველი შედეგით დაასრულა, იმერული კლუბი ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში იასპარეზებს, — იმის „იქით“ კი მხოლოდ და მხოლოდ ... ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპია! ვთქვათ და, ბევრად უფრო გამოცდილმა ავსტრიელებმა იმძლავრეს, — „ზესტაფონი“ ამ შემთხვევაშიც აგრძელებს ევროტურნირებზე ასპარეზობას და ამჯერად უკვე ევროპის ლიგის პლეი-ოფში გადაინაცვლებს. აი, რაც შეეხება „დინამოს“, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდს, ალბათ, უკვე ახლავე შეუძლია ევროპის ლიგის პლეი-ოფზე ფიქრი — სტუმრად, ისლანდიურ „რეიკიავიკთან“ მართლაც დამაჯერებელმა გამარჯვებამ მეტოქეთა შორის ჩასატარებელ განმეორებით მატჩს, ფაქტობრივად, აზრი დაუკარგა. ჰო, მართლაც არ არის პატარა ამბავი, როცა ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოასპარეზე 35 წყვილში მხოლოდ შვიდმა თუ რვა გუნდმა შეძლო პირველ მატჩში სამბურთიანი უპირატესობით გამარჯვება და მათ შორის ერთ-ერთი თბილისის „დინამოა“!

აქვე, კიდევ ერთხელ გვინდა ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართულ და პოსტსაბჭოთა სხვა გუნდებს შორის პარალელების გავლება. სულ ახლახან ვწერდით, რომ რუსებისა და უკრაინელების გარდა, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაზე მეტი გუნდი სწორედ საქართველოს ჰყავდა. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ჩემპიონთა ლიგაზეც და უეფას ლიგაზეც პოსტსაბჭოეთის გუნდებიდან გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ თბილისის „დინამომ“ მოიპოვა (ისევ და ისევ, რუსული და უკრაინული გუნდების „გამორიცხვით“)...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ყველამ უნდა მოინდომოს

მოგება, ფრე და წაგება, - აი, ასეთი იყო ქართული გუნდების მონაგარი ევროტურნირების III საკვალიფიკაციო ეტაპზე (სხვათა შორის, ბურთების სხვაობაშიც თანაფარდობაა — 7:7); შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, ჩვენი გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგი რამდენად უფრო უკეთესი შეიძლება ყოფილიყო, — ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, „ზესტაფონი“-„შტურმის“ მატჩს ვგულისხმობთ; ანუ, ძალიან დიდი შანსი იყო, რომ ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტს „ზესტაფონს“ გამოცდილ ავსტრიელებთან განმეორებითი მატჩის წინ ბევრად უფრო სოლიდური ჰანდიკაპი ჰქონოდა. მით უფრო, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდმა ეს მატჩი საკმაოდ აქტიურად და აგრესიულად ჩაატარა და საკუთარ სათამაშო სტილს არც ახლა უღალატა. თუმცა, ევროტურნირებზე გამოცდილებასთან ერთად სხვა „აუცილებელი“ კომპონენტებიც ძვირად ფასობს; ამ შემთხვევაში კი, უპირველეს ყოვლისა, გრძელ სათადარიგოთა სკამს ვგულისხმობთ: ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო „ზესტაფონს“ ორი მცველი (**გიორგი ხიდეშელი, თემურ ღონღაძე**) აკლდა და ჩვენი ჩემპიონის თამაშზე ყოველივე ეს უარყოფითად აისახა. მოკლედ, ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს, თავის გერმანელი კოლეგისგან განსხვავებით, ნამდვილად არ ჰქონდა იმის ფუფუნება, ძირითადი შემადგენლობის შერჩევასა თუ უშუალოდ თამაშის მსვლელობაში მეტოქისათვის რაიმე სიურპრიზი შეეთავაზებინა. გეგუჩაძემ, ერთი შეხედვით, სწორი შეცვლებიც გააკეთა და **თორნიკე გორგიაშვილის, ალექსი ბენაშვილისა** და ახალგაზრდა **გიორგი ჭანკოტაძის** გამოყვანით მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლა სცადა. აი, „შტურმის“ გერმანელმა თავკაცმა **ფრანკო ფოდამ** კი ის მართლაც უამრავი საკადრო პრობლემა, ფაქტობრივად, უმტკივნეულოდ გადაწყვიტა და თამამად ენდო 18 წლის **ფლორიან კაინცსა** და მის თანატოლს **ფლორიან ნოიჰოლდს,** აგრეთვე გუნდის ... ქართველ ახალწვეულს, 24 წლის **გიორგი ფოფხაძესა** და ... თავის ვაჟს, 21 წლის **სანდრო ფოდას**, რომელიც „შტურმის“ ძირითადის ფეხბურთელად არ მოიაზრება. ავსტრიული გუნდის საკადრო პრობლემები ვახსენეთ და ბარემ დავაკონკრეტოთ: ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო „ზესტაფონთან“ შეხვედრაში „შტურმს“ ძირითადის... შვიდი (!) ფეხბურთელი აკლდა, ამათგან სამი მცველი! **ფერდინანდ ფელდჰოფერი, იოახიმ შტანფესტი, დომენიკ პიურხერი, ჰარის ბუკვა, ანდრეას ჰოლცლი, მატიას კოხი** („ზესტაფონთან“ მატჩის მიწურულს რომ გამოჩნდა მოედანზე), **იმრე საბიჩი,** — აი, ასეთი დანაკლისის მიუხედავად, „შტურმმა“ მაინც შეძლო და თავისთვის სასურველი ანგარიშით დაბრუნდა ავსტრიაში. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიგვაჩნია, რომ „ზესტაფონს“ რეალურად ხელეწიფება ავსტრიული ბარიერი გადალახოს; ოღონდ, ბევრ „აუცილებელ“ ფაქტორთან (გამოცდილება, იღბალი, ობიექტური მსაჯობა) ერთად „ზესტაფონის“ თითოეულ ფეხბურთელს მაქსიმალური მონდომებაც მოეთხოვება; ჰო, ყველა ფეხბურთელს, თორემ რაც უნდა ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდეს **შოთა გრიგალაშვილი** („შტურმთან“ შეხვედრაში ორივე გუნდის შემადგენლობაში, უდავოდ, ყველაზე გამორჩეული მოთამაშე), მხოლოდ ერთი-ორი მოთამაშის გაბრწყინება საკმარისი არ იქნება...

## არაერთგვაროვანი განწყობა



ოლიმპი-რენი. ფრანგებმა რუსთაველების საჯარიმო აიკლეს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ორი დღის წინ ქართულ-ფრანგულ დაპირისპირებაზე ვწერდით და ისიც აღვნიშნეთ, რომ ევროტურნირებზე ფრანგებთან საკმაოდ უარყოფითი ბალანსი გვქონდა. სიტუაცია უფრო დამძიმდა „რენთან“ მატჩის შემდეგაც: დღესდღეობით ფრანგულ გუნდებთან 1 ფრე და 6 წაგება გვაქვს, ბურთების მართლაც კატასტროფულ სხვაობაზე (4-16) რომ აღარაფერი ვთქვათ...ისე, გულახდილად, „მეტალურგი“-„რენის“ წყვილში ფავორიტი წინასწარვე ცნობილი იყო; უბრალოდ, მაინც დამთრგუნველად მოქმედებს ხოლმე ქართველ გულშემატკივარზე, როცა შენი გუნდი ასე უსუსურად გამოიყურება მართლაც სოლიდური დონის მეტოქის ფონზე. ადრეც აღვნიშნეთ, რომ „რენი“ ფრანგული ფეხბურთის გრანდთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა; მაგრამ „მეტალურგის“ წინააღმდეგ საკმაოდ მაღალი კლასის გუნდი რომ ასპარეზობდა, ფაქტია — „რენმა“ მშვიდად, აუღელვებლად გაინაღდა შემდგომ ეტაპზე გასვლა და კიდევ კარგი, ფრანგულმა კლუბმა მატჩის მიწურულს აშკარად რომ დაინდო ისედაც რიცხობრივ უმცირესობაში მყოფი მასპინძლები, თორემ ევროტურნირებზე ქართული გუნდების ანტირეკორდის დამყარებასაც წინ აღარაფერი ედგა! ამის გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ **გრიგოლ ბედიაშვილმა** ივაჟკაცა და პირველ ტაიმში პენალტი მოიგერია, შესვენების შემდეგ მის ნაცვლად შემოსულმა **ზურაბ ბათიაშვილმა** კი, სულ მცირე, ორი-სამი აშკარა გოლისაგან გვიხსნა! რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო სანახავი იყო, ფრანგები თუ როგორ უპრობლემოდ დანავარდობდნენ ჩვენი უმთავრესი საფეხბურთო სარბიელის... აშკარად შელახურ მოედანზე; სამაგიეროდ, მართლაც სიამოვნებად ღირდა სტუმართა ლიდერების, **იან მ'ვილასა** და **ჯონათან პიტროიპას** მაღალოსტატური თამაშის ხილვა. სხვათა შორის, უკვე კარგა ხანია ევროტურნირებზე ჩვენს გუნდებს ასეთი მაღალი დონის მეტოქე არ ჰყოლია; თუმცა, ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან მეტ-ნაკლებად ღირსეულად რომ ითამაშო, ასევე მეტ-ნაკლებად შესაფერისი შემადგენლობაც უნდა ჰყავდეს და ასევე მეტ-ნაკლებად ოპტიმალური ტაქტიკაც უნდა შეარჩიო; სამწუხაროდ, ამ ორივე კომპონენტზე მხოლოდ უარყოფით კონტექსტში უნდა ვისაუბროთ: „მეტალურგის“ დღევანდელი შემადგენლობიდან თითქმის... ნახევარი ასეთი დონის შეჯიბრებისათვის, უბრალოდ, მზად არ არის; ეგაც რომ არ იყოს, „რენთან“ შედარებით ფრთხილი ტაქტიკური განლაგების შერჩევაც, ალბათ, ბევრად უფრო უპრიანი იქნებოდა. თუმცა, ტაქტიკა-სტრატეგია მწვრთნელების საქმეა და აბა, ჟურნალისტებს რა უფლება აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ? თუმცა, გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ, ცოტა არ იყოს, კურიოზული სიტუაციაც ვნახეთ: როცა ტრავმის მერე ძირითადში პირველად გამოჩენილი **გიორგი მურველაშვილი** მსაჯმა მოედნიდან გააძევა, „მეტალურგი“ ნომინალური მარჯვენა მცველის გარეშე იქამდე თამაშობდა, ვიდრე საკუთარ კარში... მეორე გოლი არ მიიღო! სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, „ჩასაფრებად“ არავინ ჩაგვითვალოს; მით უფრო, რომ „მეტალურგის“ (ანუ, „ოლიმპის“) დაარსების დღიდანვე ამ კლუბის წარმომადგენელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (ერთი-ორი სასიამოვნო გამონაკლისის გარდა) მუდამ ერთობ მტკივნეულად და არაადეკვატურად აღიქვამდა განსხვავებულ მოსაზრებას...

***P.S.*** *„რენთან“ დიდი ანგარიშით წაგებამ გული ყველას დაგვწყვიტა, მაგრამ სამაგიეროდ „დინამოს“ მორიგმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ ეს წყენა გადაფარა. რა თქმა უნდა, „მეტალურგსა“ და „დინამოს“ აშკარად არაერთგვაროვანი სიძლიერის მეტოქეები შეხვდათ, მაგრამ მაინც გულს უხარია, როცა ქართული გუნდი სტუმრად დიდი ანგარიშით იმარჯვებს. „დინამოს“ აშკარად წარმატებულ ევროსეზონზე კი „ლელოს“ უახლოეს ნომრებში დავწერთ...*

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A

# დე ლაურენტისი: შეიძლება ფეხბურთიდან წავიდე


აურელიო დელაურენტისი

გუშინდელ ნომერში სერია A-ს 2011/2012 წლების სეზონის კალენდარი გაგაცანით და იქვე დავძინეთ, რომ მატჩთა განრიგის შედგენის პროცესმა დიდ არეულობასა და ხმაურში ჩაიარა. კლუბების მესვეურთა ნაწილი უკმაყოფილო დარჩა კალენდრით, განსაკუთრებით კი "ნაპოლის" პრეზიდენტი აღშფოთდა და ერთი ამბავი დაატრიალა – მოვუსმინოთ **აურელიო დე ლაურენტისს** და უკეთ გავერკვევით ვითარებაში:

*"ძალიან უკმაყოფილო ვარ, რადგან კალენდრის შედგენისას არც ერთი ჩვენი თხოვნა და რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს. არადა, მომდევნო სეზონში "ნაპოლიმ" ჩემპიონთა ლიგაზე უნდა ითამაშოს და ქვეყნის სახელი საერთაშორისო სარბიელზე დაიცვას. ყოველივე ამის შემდეგ, ნამდვილად არ მიკვირს, რომ ევროპულ ასპარეზზე წარუმატებლად გამოვდივართ და საკლუბო რეიტინგში ქულებს ვკარგავთ. იმდენად ვარ განბილებული, რომ არ გამოვრიცხავ ფეხბურთიდან საერთოდ წავიდე და კვლავ კინოინდუსტრიას დავუბრუნდე. მეტიც, შეიძლება იტალიის მოქალაქეობაზეც კი ვთქვა უარი, რადგან ამ ქვეყანაში უამრავი სიბინძურე ხდება. უკმაყოფილო აშკარად რბილად ნათქვამია, აღშფოთებული ვარ და ამის დამალვის სურვილიც არ მაქვს".*

პრეზიდენტის პოზიცია "ნაპოლის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ მაძარიმაც** გაიზიარა: *"დე ლაურენტისს აბსოლუტურად ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ "ლეგა კალჩოს" მესვეურებმა საქმისადმი მიდგომა უნდა შეცვალონ. პირველ რიგში, გუნდების ინტერესები უნდა გაითვალისწინონ და არა მაგალითად ტელეკომპანიების, რომლებსაც თავისი ინტერტესები აქვთ და ხშირად კარნახობენ, რომელ დღეს და რომელ საათზე უნდა გაიმართოს ესა თუ ის პაექრობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ვაგრძელებთ მზადებას ახალი სეზონისთვის და შევეცდებით, რომ საკუთარი ძალის დემონსტრირება რთულ პირობებშიც მოვახდინოთ. გასულ სეზონშიც არაერთ სირთულეს გადავაწყდით, მაგრამ ყველა ბარიერი გადავლახეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ. დარწმუნებული ვარ, მომდევნო სეზონშიც ასე იქნება".*

ალბათ თქვენც გიკვირთ, რატომ ატეხეს ამხელა ამბავი "ნაპოლის" წარმომადგენლებმა და ასეთი რა კალენდარი შეუდგინეს, რომ ბედთან შეგუება უჭირთ – ამაზე ისევ და ისევ დე ლაურენტისი ისაუბრებს: *"მართალია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კალენდარი ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ პრაქტიკულად ცნობილია, რომელ რიცხვებში გაიმართება პაექრობები. სერია A-ს კალენდარი კი ისეა შედგენილი, რომ სწორედ ლიგის დროს გვიწევს გრანდებთან დაპირისპირება. გარდა ამისა, რამდენიმე პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი რჩევა არ გაითვალისწინეს, რამაც ძალიან დამწყვიტა გული. "ლეგა კალჩოს" მესვეურები ყველას უსმენენ, გარდა კლუბებისა".*

დე ლაურენტისის კომენტარებს "ლეგა კალჩოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ადრიანო გალიანი** გამოეხმაურა, რომელმაც "ნაპოლის" პრეზიდენტს სიმშვიდისკენ მოუწოდა. სენიორ ადრიანოს თქმით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვის როდის შეხვდები, თუ გუნდი კარგად იქნება მომზადებული ახალი სეზონისთვის, წარმატება ისედაც არ დააყოვნებსო. გალიანიმ წარმატებები უსურვა "ნაპოლის" ევროარენაზე და დასძინა, რომ საერთაშორისო სარბიელზე ნებისმიერი იტალიური გუნდის თავგადაკლული გულშემატკივარია.

მილანი


ანტონიო კასანო

# გალიანი: კასანო უნდა გახდეს

## თუმცა, ხელშეუხებელია

"მილანი" უკვე კარგა ხანია, რაც მოსამზადებელ ეტაპს გადის და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვაც მოასწრო. მათგან ყველაზე გამოსარჩევი აუდის თასზე მიუნხენის "ბაიერნთან" დაპირისპირება გახლდათ, რომელშიც ლომბარდიელებმა მარცხი იწვნიეს და კრიტიკის ქარცეცხლშიც გაეხვნენ. საყოველთაო მოსაზრებით, ბავარიელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე, განსაკუთრებით კი სისწრაფესა და მოძრაობაში.

ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტად **ანტონიო კასანო** გააკრიტიკეს, აშკარად ჩააგდო შეხვედრა და ვერაფრით დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს. 29 წლის შემტევის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს **ადრიანო გალიანი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

*"კასანო ფანტასტიკური ფეხბურთელია, მაგრამ პერიოდულად რეჟიმის დაცვა უჭირს. ამ ზაფხულს აშკარად მოიმატა წონაში და თუ უნდა, რომ სეზონის სტარტს კარგ ფორმაში შეხვდეს, რამდენიმე კილო აუცილებლად უნდა დაიკლოს. რაც შეეხება მისი შესაძლო გასხვისების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებს, სრული სისულელეა, რადგან ანტონიო გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ".*

ინტერი


ტიაგო მოტა

# მოტამ ჯენოა უარყო

## ბრანკას სხვა მოსაზრება აქვს

"ინტერის" მესვეურები არაფრით ეშვებიან **როდრიგო პალასიოს**, ვისი გადაბირების სურვილიც გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ჯანპიერო გასპერინიმ** გამოთქვა. **მასიმო მორატი** ყველანაირად ცდილობს, რომ მწვრთნელს სურვილი აუსრულოს, მაგრამ ჯერჯერობით, მიზანთან არცთუ ისე ახლოსაა.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, მასიმო მორატიმ მის გენუელ კოლეგა **ენრიკო პრეციოზის** პალასიოს სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. "ნერაძურის" პრეზიდენტი იძულებული გახდა, რომ ალტერნატიული წინადადება შეემუშავებინა და თუ ავტორიტეტრულ გამოცემას ვენდობით, გენუელებს პალასიოს სანაცვლოდ 29 წლის ნახევარმცველი **ტიაგო მოტა** შესთავაზა. "გაძეტას" ჟურნალისტი თავად მოტას შეეხმიანა და მისგან შემდეგი მოისმინა:

*"ამის შესახებ მეც წავიკითხე გაზეთში და სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, რადგან "ჯენოას" მესვეურებთან არავითარი კონტაქტი არ მქონია. "ინტერთან" კიდევ ორწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და არსად წასვლას არ ვაპირებ"*

**ტიაგო მოტას როდრიგო პალასიოში** გაცვლის საკითხზე "ინტერის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამაც** ისაუბრა და სრულიად სხვა შინაარსის განცხადება გააკეთა: *"გასპერინის მართლაც სურს პალასიოს გადაბირება და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს გარიგება შედგეს. არ არის გამორიცხული, სანაცვლოდ გენუურ გუნდს "ინტერის" რომელიმე მოთამაშე მიაშუროს, მათ შორის ტიაგო მოტამ. თუმცა, ეს საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია და ნაადრევი დასკვნების გაკეთებას არავის ვურჩევდი. პირადად მე, მოტას თამაშის მანერა ძალიან მომწონს და "ინტერის" მთავარი მწვრთნელი რომ ვიყო, ვერაფრით შეველეოდი. თუმცა, მწვრთნელი გასპერინია და სწორედ ის წყვეტს, ვინ უნდა დაიმატოს და ვინ გაუშვას. ამით არაფრის თქმა არ მსურს,. უბრალოდ, იმაზე გავამახვილე ყურადღება, რომ გადაწყვეტილებას მთავარი მწვრთნელი იღებს. "ინტერში" ყოველთვის ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება".*

იუვენტუსი

# კონტემ შეგირდები გაახარა

სერია A-ს გუნდებს შორის, "იუვენტუსმა" ერთ-ერთმა ბოლომ დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის, რაც **ანტონიო კონტეს** პირადი სურვილით გახლდათ განპირობებული. ახალგაზრდა სპეციალისტის აზრით, მომქანცველი სეზონის შემდეგ, ფეხბურთელებს კარგად დასვენება სჭირდებათ, რათა მომდევნო წლის ბატალიებს ჩვეული ენთუზიაზმით შეხვდნენ. მწვრთნელის ასეთმა გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად ფეხბურთელები გაახარა, რაც **ალესანდრო დელ პიეროს** სიტყვებით დასტურდება:

*"კონტემ შვებულება გაგვიხანგრძლივა, რამაც ყველანი გაგვახარა. ფეხბურთის თამაში უკვე მენატრება კიდეც, მაგრამ მეორე მხრივ, ვაცნობიერებ, რომ მომდევნო სეზონის მაღალ დონეზე ჩასატარებლად კარგად დასვენება აუცილებელია. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. ბევრი რამე გვაქვს დასამტკიცებელი და დიდი იმედი მაქვს, რომ ახალ მწვრთნელთან ერთად, ყველაფერს შევძლებთ".*

დასვენება ნაკლებად სჭირდება **ალესანდრო მატრის**, რადგან პრაქტიკულად ნახევარი სეზონის გამოტოვება მოუხდა. თუმცა, ისიც დაეთანხმა კონტეს გადაწყვეტილებას და შემდეგი დაამატა: *"ანტონიოს ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს, რომელსაც სწორად გაგება და შემდეგ, საქმეში გადატანა სჭირდება. ვცდილობთ, რომ სწორედ ეს გავაკეთოთ და რამდენად კარგად გამოგვდის, ეს თავად მწვრთნელმა უნდა თქვას. ნებისმიერ შემთხვევაში, ცდას არ ვაკლებთ და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ. რაც მთავარია, ტრავმა ბოლომდე მოვუიმუშე და თავს შესანიშნავად ვგრძნობ, არავითარი შიში არ მაქვს, რომ შეიძლება ისევ დავშავდე და შესაბამისად, წვრთნებზე ბოლომდე ვიხარჯები. ვნახოთ, წინ ძალიან საინტერესო სეზონი გველის".*


ანტონიო კონტე

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩელსი

# ვილაშ-ბოაშს ფეხბურთელები ჩაძირავენ!



მარსელ დესაი

**მარსელ დესაი** შიშობს, რომ თუ „ჩელსი" ჩემპიონატს შთამბეჭდავად ვერ დაიწყებს, მის ახალგაზრდა მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** ფეხბურთელები აუჯანყდებიან. „ლურჯების" ფრანგი ლეგენდა დარწმუნებულია, რომ 33 წლის თავკაცის თუნდაც ერთი შეცდომა ან სისუსტე, საკმარისი იქნება ვეტერანების ნდობის დასაკარგავად. საკმაოდ თამამ ინტერვიუში დესაიმ ისიც თქვა, რომ დასავლეთლონდონელთა კლუბის ფეხბურთელები **ფერნანდო ტორესს** გუნდთან შერწყმასა და გოლების გატანაში არ ეხმარებიან, **ფრენკ ლემპარდი** კი, მისი აზრით, გუნდური სულისკვეთების მქონე ფეხბურთელი არ არის.

და კიდევ: **ლუკა მოდრიჩი** „ჩელსის" დონეს ვერ აკმაყოფილებს...

დაგვეთანხმებით, ძნელია მოძებნო დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელიც „სტემფორდ ბრიჯის" გარემოს დესაიზე უკეთ იცნობს. ფრანგმა „ჩელსიში" ექვსი წელიწადი გაატარა და **რომან აბრამოვიჩის** ეპოქის პირველი კაპიტანი იყო. დესაი ამბობს:

*„ახალგაზრდა მწვრთნელისთვის, რომელსაც ზურგს „პორტუში" მუშაობის მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება უმაგრებს, გუნდი, რომელშიც წარმატებული და ტიტულიანი ფეხბურთელები თამაშობენ, შესაძლოა დიდ პრობლემად იქცეს. ჩემზე გეტყვით. დღეს, მე, მსოფლიოს ჩემპიონი, ისევ ფეხბურთელი რომ ვიყო, ახალი მწვრთნელისგან მკაფიო იდეებს, გასაგებ ვარჯიშებს და შეცვლებისა და ტაქტიკისადმი ნათელ დამოკიდებულებას მოვითხოვდი. გარწმუნებთ, საკმარისია ვილაშ-ბოაშმა შეცდომები დაუშვას, რომ „ჩელსის" ფეხბურთელები ზურგს აქცევენ. ისინი ჩათვლიან, რომ სათავეში ჩაუყენეს კაცი, რომელიც მათი დონის მოთამაშეების გასაწვრთნელად მზად არ არის. ერთი სიტყვით, პორტუგალიელს დიდი სიფრთხილე მართებს. მან საქმეები ძალიან ჭკვიანურად უნდა წარმართოს, თორემ ცუდად წაუვა კარიერა. ასაკი უშლის ხელს.*

*გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ დაიწყებს „ჩელსი" ახალ სეზონს. თუ ფეხი დაუცდება, როგორც გასულ სეზონში „ლივერპულს" მოუვიდა, ფეხბურთელები მწვრთნელის ნდობას დაკარგავენ, რასაც ძალიან ცუდი გაგრძელება მოჰყვება. მე ვილაშ-ბოაშს პრესკონფერენციებზე დავაკვირდი და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის უკვე გალიზიანებულია. საბედნიეროდ, ის იდეებით სავსე, ამბიციური ადამიანია. მან ფეხბურთელები უნდა მოთოკოს. თქვენ გგონიათ, ჟოზე მოურინიოს არ ჰქონდა პრობლემები? ცალკეულ ადამიანებთან უამრავი ბრძოლა გადახდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ფეხბურთელები ჟოზეს უდიდეს პატივს სცემდნენ. მან ისინი ერთ გუნდად შეკრა და ჩაუნერგა, რომ მთელი სამყაროს წინააღმდეგ მარტონი არიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მერედა, მოურინიოს ვარჯიშები უნდა გენახათ. ეს დიდებული იყო, მას ბადალი არ ჰყავს. და დღეს „ჩელსის" ახლგაზრდა თავკაცს სწორედ ამ ტიპის გამოწვევები ელის. მან ვარჯიშებზე უნდა დაუმტკიცოს ფეხბურთელებს, რომ ასაკის მიუხედავად სათანადო სიმაღლეზეა".*

დესაი იხსენებს, როგორ დაჩაგრეს „ჩელსის" ფეხბურთელებმა 2004 წელს **კლაუდიო რანიერი**. ფრანგის თქმით, რანიერის მსგავსად ვილას-ბოასსაც ბევრ პრობლემასთან მოუწევს შეჭიდება. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა **ფერნანდო ტორესია**. მოგეხსენებათ, 27 წლის ესპანელი იანვარში „ჩელსიმ" „ლივერპულისგან" 50 მილიონად იყიდა და... მას მერე საკუთარი თავის ჩრდილილაა.

დესაიმ დასძინა: *„ტორესი ვილაშ-ბოაშისთვის ძალიან სერიოზული პრობლემაა. ამ თავდამსხმელს ფიზიკური და მენტალური სირთულეები აქვს. პრობლემები, რომელიც ტორესს „ჩელსიში" გადასვლის შემდეგ აღმოაჩნდა, ძალიან ჰგავს ანდრეი შევჩენკოს პრობლემებს. გუნდი მას არ ეხმარება, პასს უგვიანებენ. მაგალითად, ფრენკ ლემპარდი ჩინებული ფეხბურთელი და ჩემი მეგობარია, მაგრამ დროულად პასს არასდროს მოგაწვდის. მას ბურთი დააქვს და მერე ისეთ პოზიციაში მყოფ ფეხბურთელს გადაუგდებს, რომელიც იძულებულია მასვე დაუბრუნოს. ამას იმიტომ აკეთებს, რომ საგოლე პოზიციაზე გავიდეს, დაარტყას და გოლი თავად გაიტანოს. ლემპარდი გუნდს არ ათამაშებს, ტორესს კი დროული პასი სჭირდება, წამებში მოზომილი.*

*ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, „ჩელსის" გამთამაშებელი სჭირდება. ვიცი, რომ ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ლუკა მოდრიჩზე, მაგრამ მოდრიჩი „ჩელსისთვის" ძალიან მჩატეწონოსანია. ცუდი ფეხბურთელი არ არის, მაგრამ დიდებული ნამდვილად არ გახლავთ. „ჩელსი" ვესლი სნეიდერის დონის ფეხბურთელებს უნდა ყიდულობდეს. „ლურჯები" „ბარსელონას", „მანჩესტერ იუნაიტედს" და „მილანს" უნდა უსწორდებოდეს და არა „ტოტენჰემს".*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რომელი ბარსა?

დიახ, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ბოლო რამდენიმე წელიწადში „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალი წააგო, მაგრამ ის, რასაც მანჩესტერელები ფეხბურთის მოედანზე ვერ ახერხებენ, თურმე, ვაშინგტონში, კერძოდ „თეთრ სახლში" ხერხდება. დიახ, „ბარსა" დამარცხებულია: კატალონიელებმა, როგორც ჩვეულებრივმა ტურისტებმა, ამერიკაში ყოფნის დროს „თეთრი სახლი" გარედან დაათვალიერეს, „იუნაიტედი" კი შიგ შეიყვანეს.

მოგეხსენებათ, ამერიკაში ეკონომიკური სირთულეებია და პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** მანჩესტერელებთან შესახვედრად ვერ მოიცალა. ამის მიუხედავად „იუნაიტედის" ფეხბურთელმა პლანეტის, სავარაუდოდ, ყველაზე გავლენიან შენობაში გემოზე ისეირნეს და ფოტოები გადაიღეს, **რიო ფერდინანდმა** კი თავისი სურათის „ტვიტერზე" დაგდება იქიდანვე მოახერხა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** ჟურნალისტებს ასე უთხრა:

*„ფანტასტიკური და შთამბეჭდავი იყო. ჩვენ ძალიან კმაყოფილები დავრჩით. „თეთრ სახლში" ადრეც ვარ ნამყოფი, მაგრამ ხელმეორედ ნახვისას კვლავ ასეთ შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა, არ მეგონა. ეს უდიდესი ისტორიის მქონე, საოცარი შენობაა. ვიმეორებ, ყველანი საოცრად კმაყოფილები დავრჩით".*

„მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბარსელონა" ვაშინგტონში დღეს ხვდებიან ერთმანეთს. ეს ამხანაგური თამაში იქნება.

საინტერესოა, რომ „თეთრ სახლთან" გარედან მისულ ბარსელონელებს შენობასთან მიახლოება მოუნდათ, მაგრამ დაცვამ ნება არ დართო.

**ჩავი**: *„ჩვენ გვითხრეს, რომ ახლოს მისვლა მხოლოდ 10-15-კაციან ჯგუფებად შეიძლება, დიდ ჯგუფებს კი ახლოს არ უშვებენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ სასტუმროში დავბრუნებულიყავით".*

მაგრამ მედალს მეორე მხარე აქვს: „მანჩესტერ იუნაიტედი" ამერიკულ ტურნეში თავს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულით იწონებს, „ბარსელონამ" კი ვაშინგტონის „რიც კარლტონში", არც მეტი არც ნაკლები, ჩემპიონთა თასი (თუ ჩემპიონთა ლიგის თასი) გამოფინა.

ალექს ფერგიუსონი არ მალავს, რომ მისთვის დღევანდელ, თუნდაც ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვება ფრიად სასიამოვნო იქნება. თან, „ბარსა" მთავარი ვარსკვლავის, 24 წლის არგენტინელი **ლეო მესის** გარეშე იქნება, ოღონდ... ექნება კი მესის გარეშე მოთამაშე „ბარსელონას" დამარცხებას „იუნაიტედისთვის" განსაკუთრებული გემო?

ფერგიუსონმა თქვა: *„ბარსელონა" მსოფლიოს საუკეთესო გუნდია, მე კი მეორე ადგილზე ყოფნაც მსიამოვნებს, ოღონდ მიზნად მათ დონეზე ასვლა მაქვს დასახული. მარტო ფეხბურთის გუნდთან გატოლებაზე არ ვამბობ. მე მხედველობაში მაქვს მათი ფილოსოფია, წვრთნის სტილი, ის, თუ როგორ ზრდიან ახალ თაობას. მართალი გითხრათ, ახალი თაობის აღზრდაზე, მეც დაახლოებით მსგავსი შეხედულება მაქვს და თუ მეცოდინებოდა, რომ „ბარსელონა" შაბათს მოედანზე თავის ახალგაზრდებს გამოიყვანდა, მეც ახალგაზრდებს დავუპირისპირებდი. მერწმუნეთ, შესანიშნავი თამაში გახურდებოდა".*

„იუნაიტედის" ფრანგი მცველისთვის, 30 წლის **პატრის ევრასთვის** კი „ბარსასთან" შეხვედრა, ლამის პირადი საკითხია:

*„ამ გუნდს პატივს ვცემ, მაგრამ როგორც ფეხბურთელს თუ რამე მინდა, ეს „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში კიდევ ერთხელ შეხვედრაა. მე მათთან უკვე ორჯერ წავაგე და ამას ვერ შევგუებივარ".*



● მანჩესტერ სიტი

# აგუეროს ოჯახი აგუეროსთან!

ისტლენდზე **კარლოს ტევესის** ოჯახური დრამის შემდეგ, როგორც ჩანს, არგენტინელი ფეხბურთელებისა და მათი ცოლებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. დავაზუსტოთ: ტევესი, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტიდან" იმიტომ გარბის, რომ მისმა მეუღლემ ინგლისში ცხოვრება ვერ შეძლო და სამშობლოში დაბრუნდა, ფეხბურთელმა კი შვილებთან განშორება ვერ აიტანა. ამიერიდან, მოგეხსენებათ, „სიტიში" ახალი არგენტინელი, 23 წლის **სერხიო აგუერო** ითამაშებს. ის მანჩესტერელებმა მადრიდის „ატლეტიკოსგან" 38 მილიონ ფუნტად იყიდეს და... მყისვე გაუჩნდათ კითხვა: კი მაგრამ, ამისი ცოლი (**დიეგო მარადონას** ქალიშვილი **ჯანინა**) შეძლებს მანჩესტერში ცხოვრებას?

აგუერომ მანჩესტერელები დააწყნარა. მან განაცხადა, რომ ჯანინა და ორი წლის **ბენჯამინი** ყოველთვის მასთან ერთად ცხოვრობენ. ის კი არა, ისტლენდელთა ახალ თავდამსხმელს არგენტინელებისთვის გაუგონარი რამ წამოსცდა, მანჩესტერში ამინდიც მომწონსო.

*„ისინი უკვე ჩემთან არიან. საერთოდ, წესად გვაქვს, სადაც მე ვარ, იქ არის ჩემი ოჯახი და მეგობრებიც ხშირად ჩამოდიან ხოლმე. ერთი სიტყვით, სანამ მე მანჩესტერში ვიქნები, ჩემი ცოლ-შვილიც აქ იცხოვრებს* — თქვა აგუერომ და დასძინა — *ჩემი ძმები ბუენოს აირესში ცხოვრობენ, მაგრამმისინიც ხშირად ჩამომაკითხავენ ინგლისში".*

კითხვაზე, ხომ არ გაუჭირდება ინგლისთან შეგუება, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელმა უპასუხა:

*„ვფიქრობ, პრობლემა არ იქნება. უპირველეს ყოვლისა, სიცხეებს ვერ ვიტან, ამიტომ, არა მგონია ბრიტანულმა ჰავამ განსაკუთრებული პრობლემები შემიქმნას. ვფიქრობ, მანჩესტერში სიამოვნებით ვიცხოვრებ".*

გაზეთები წერენ, რომ აგუერო არაფერს ამბობს სიმამრზე. ისიც ხშირად ჩააკითხავს ქალიშვილს და სიძეს ინგლისში თუ არა? ჯერჯერობით, ეს ის თემაა, რომელსაც გვერდს უვლიან.

და კიდევ ერთი თემა, რომელსაც აგუერო შეძლებისდაგვარად გაურბის: კარლოს ტევესი და მისი გაქცევა „ეტიჰედ სთედიუმიდან".

„ატლეტიკოს" ყოფილი ვარსკვლავი ამბობს: *„ჩემი სტილი ყოველთვის ბოლომდე ბრძოლა გახლდათ. რასაც ვაკეთებ, მთელი ყურადღებით იმ საქმეზე ვარ გადართული. თამაშის დროს ჩემთვის ყველა მოძრაობა მნიშვნელოვანია: გარღვევა, დაკარგული ბურთის დაბრუნება, გოლის შეგდება... ყველაფრისთვის ვიბრძვი, გულს და სულს ვაქსოვ.*

*გულწრფელად გეტყვით, მე არ ვარ ის ფეხბურთელი, რომელსაც მოედანზე ყველაფერი გამოსდის. ამის მიუხედავად, გაცილებით უკეთესი ფეხბურთის თამაში შემიძლია. არა მგონია „მანჩესტერ სიტისთან" შეგუება და გუნდში ადგილის პოვნა გამიჭირდეს. მე, უბრალოდ, გავაკეთებ იმას, რასაც მწვრთნელი დამავალებს. მწვრთნელმა უკეთ იცის, რისთვის ვჭირდები და როგორ უნდა მათამაშოს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება".*




სერხიო აგუერო პრეზენტაციაზე

● არსენალი

# მატა აქ ჩამოდგება

„არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** კრიტიკოსები სატრანსფერო ბაზარზე პასიურობას საყვედურობენ, თუმცა ტაბლოიდებში გაჟონა ინფორმაციამ, რომ მთლად ასეც არ არის საქმე. კერძოდ, „სანი" წერს, რომ ჩრდილოლონდონელები 23 წლის ესპანელ **ხუან მატასა** და 28 წლის ინგლისელ **ფილ ჯეგიელკას** ყიდულობენ.

გაზეთმა ვალენსიელ მატას მეგობრებისგან შეიტყო, რომ გარემარბს თავისი „არსენალში" გადასვლის საქმე უკვე გადაწყვეტილად მიაჩნია. „სანი" წერს, რომ „მეთოფეები" „ღამურებს" მატას სანაცვლოდ 19 მილიონ ფუნტს ანუ 21,74 ევროს გადაუხდიან.



ხუან მატა

რაც შეეხება „არსენალისა" და „ევერტონის" ურთიერთობას, ლივერპულის გუნდმა „არსენალის" პირველ შეთავაზებაზე უარი თქვა. ინგლისურ წყაროებში თავიდან ეწერა, თითქოს ვენგერმა „ევერტონის" თავკაც **დევიდ მოიესს** 10 მილიონი ფუნტი შესთავაზა, მოგვიანობით კი ზოგან დაიწერა, რომ ეს თანხა 13 მილიონი იყო. ასეა თუ ისე, მოიესმა თავისი მცველის გნებავთ ერთ და გნებავთ მეორე თანხად გაყიდვა იუარა ანუ ვაჭრობს.

საინტერესოა, რომ დღემდე „არსენალის" სატრანსფერო რეკორდი 12 მილიონი ფუნტია — ეს თანხა „მეთოფეებმა" 2009 წელს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" **ანდრეი არშავინში** გადაუხადეს. შესაბამისად, როგორც მატას ასევე ჯეგიელკას ტრანსფერი ჩრდილოლონდონელთათვის, სავარაუდოდ, სარეკორდო იქნება.

გაზეთი წერს, რომ მატას, ხელში ჩაგდება „არსენალისთვის" ძალიან კარგი სვლა იქნება, რადგან, ბოლო წამს „მტაცებლური ოპერაციების ჩატარება" „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უყვარს და არ არის გამორიცხული ამას ამზადებდეს კიდეც.

ჯეგიელკა კი „ემირეიტ სთედიუმზე" ოთხწლიან კონტრაქტს და კვირაში 100 ათას ფუნტს ითხოვს.

და კიდევ ერთი ცნობა „არსენალის" ბანაკიდან: 23 წლის დანიელი თავდამსხმელი **ნიკლას ბენდტნერი** ამ კვირაში, ალბათ, ლისაბონის „სპორტინგში" გადავა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ევროპალიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები**

**ბნეი იეჰუდა (ისრაელი)-ჰელსინგბორგი (შვედეთი)** 1:0
გოლი: 1:0 გალვანი (41)

**შლასკი (პოლონეთი)-ლოკომოტივი (ბულგარეთი)** 0:0

**აეკ (კვიპროსი)-მლადა (ჩეხეთი** 3:0
გოლები: 1:0 ვან დიკი (62-პენ), 2:0 გონსალო გარსია (73), 3:0 დე კლერი (93)

**ვენტსპილსი (ლატვია)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)** 1:2
გოლები: 0:1 კალუჯეროვიჩი (10), ე. ვიშნიაკოვსი (44), 1:2 ბრუნო მეზენგა (93)

**ალანია (რუსეთი)-აქტობე (ყაზახეთი)** 1:1
გოლები: 0:1 მანე (11), 1:1 ბურაევი (60)

**კარპატი (უკრაინა)-სტ. პატრიკი (ირლანდია)** 2:0
გოლები: 1:0 ფედეცკი (34), 2:0 ვორონკოვი (93)

**ოლიმპია(სლოვენია)-აუსტრია (ავსტრია)** 1:1
გოლები: 0:1 ლინცი (33), 1:1 ვრშიჩი (60)

**ალესუნდი (ნორვეგია)-ელფსბორგი (შვედეთი)** 4:0
გოლები: 1:0 ოკორონკვო (5), 2:0 ბარანტესი (56), 3:0 ორი ლარსენი (72), 4:0 აუგუსტსონი (74 ს.კ.)

**ზალცბურგი (ავსტრია)-სენიცა (სლოვაკეთი)** 1:0
გოლი: 1:0 ლეონარდო (75)

**ანორთოსისი (კვიპროსი)-რაბოტნიჩკი (მაკედონია)** 0:2
გოლები: 0:1 პეტროვიჩი (71), 0:2 ველკოსკი (82)

**სპარტა (ჩეხეთი)-სარაევო (ბოსნია)** 5:0
გოლები: 1:0 კვეუკე (5), 2:0 სიონკო (36), 3:0 კვეუკე (69), 4:0 პოდანი (91), 5:0 კვეუკე (93)

**ვორსკლა (უკრაინა)-სლიგო (ირლანდია)** 0:0

**ვალერენგა (ნორვეგია)-პაოკ (საბერძნეთი)** 0:2
გოლები: 0:1 ვიერინია (72), 0:2 პაბლო გარსია (90)

**იანგ ბოისი (შვეიცარია)-ვესტერლო (ბელგია)** 3:1
გოლები: 1:0 ფარნერუ (22), 2:0 დ. დაგენი (33), 2:1 ბრიულსი (34), 3:1 დ. დაგენი (79)

**ბურსა (თურქეთი)-გომელი (ბელარუსი)** 2:1
გოლები: 0:1 კუზმენოკი (42), 1:1 სერდარ აზიზი (52), 2:1 იბრაჰიმ კაში (72)

**ჰაპოელი თ. (ისრაელი)-ვადუცი (ლიხტენშტაინი)** 4:0
გოლები: 1:0 კენდე (24), 2:0 ტამუზი (45), 3:0 დამარი (49), 4:0 ე. კოენი (82)

**ომონია (კვიპროსი)-დენ ჰააგი (ჰოლანდია)** 3:0
გოლები: 1:0 ალექსი (37-პენ), 2:0 რენგიფო (58), 3:0 ხრისტოფი (77)

**სპლიტი (ხორვატია)-ფულჰემი (ინგლისი)** 0:0

**ლევსკი (ბულგარეთი)-სპარტაკი (სლოვაკეთი)** 2:1
გოლები: 0:1 ტომაჩეკი (80-პენ), 1:1 გადჟევი (89), 2:1 არსი (92)

**ალკმაარი (ჰოლანდია)-იაბლონეცი (ჩეხეთი)** 2:0
გოლები: 1:0 ვერნბლოომი (64), 2:0 გუდმუნდსონი (88)

**გაზიანთეპი (თურქეთი)-ლეგია (პოლონეთი)** 0:1
გოლი: 0:1 რადოვიჩი (51)

**დინამო (რუმინეთი)-ვარაჟდინი (ხორვატია)** 2:2
გოლები: 1:0 სუშაჩი (6 ს.კ.), 2:0 მოტი (16), 2:1 სასერი (43), 2:2 ვუგრინეცი (45)

**დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)** 0:3
გოლები: 0:1 შემბრი (66), 0:2 აკოსტა (71), 0:3 სოლაკისი (89)

**პაკში (უნგრეთი)-ჰართსი (შოტლანდია)** 1:1
გოლები: 1:0 შიპეკი (32), 1:1 ჰემილი (45-პენ)

**ჟელეზნიჩარი (ბოსნია)-მაქაბი თ. (ისრაელი)** 0:2
გოლები: 0:1 კოლაუტი (47), 0:2 კოლაუტი (56)

**ბრიუგე (ბელგია)-ყარაბახი (აზერბაიჯანი)** 4:1
გოლები: 1:0 ვლემინქსი (9), 2:0 ვასკესი (55), 2:1 ალიევი (62), 3:1 დონკი (71), 4:1 დირარი (83)

**მაინცი (გერმანია)-გაზ მეთანი (რუმინეთი)** 1:1
გოლები: 1:0 ბუნგერტი (31), 1:1 ბავაბი (60)

**პალერმო (იტალია)-თუნი (შვეიცარია)** 2:2
გოლები: 0:1 ლიუტჰი (6), 1:1 ილიჩიჩი (13), 1:2 შნაიდერი (56), 2:2 მიკოლი (92)

**სტოკი (ინგლისი)-ჰაიდუკი (ხორვატია)** 1:0
გოლი: 1:0 ვალტერსი (3)

**ნასიონალი (პორტუგალია)-ჰაკენი (შვედეთი)** 3:0
გოლები: 1:0 ლუის ალბერტო (13), 2:0 მატეუში (18), 3:0 მატეუში (45)

**ატლეტიკო (ესპანეთი)-სტრომსგოდსეტი (ნორვეგია)** 2:1
გოლები: 1:0 რეიესი (54), 2:0 რეიესი (74), 2:1 სტორფლორი (80)

**მიდტიულანდი (დანია)-ვიტორია (პორტუგალია)** 0:0

**რიდი (ავსტრია)-ბრონდბიუ (დანია)** 2:0
გოლები: 1:0 მადერი (32), 2:0 როიერი (46)

*საპასუხო მატჩები 4 აგვისტოს*

# იტალიას ისევ უჭირს, ახლა უკვე კვალიფიკაციაში

## კვიპროსული სიურპრიზები და ჩეხთა კამერუნელი მეგოლე

ევროპალიგის პლეი ოფი, რომელიც აგვისტოს მეორე ნახევარში გაიმართება, გაარკვევს ამ ტურნირის ჯგუფური ეტაპის ყველა მონაწილის ვინაობას. მანამდე კი კლუბები პლეი ოფის საგზურისთვის იბრძვიან, მათ შორის არიან რუსთავის „მეტალურგი" და თბილისის „დინამო". ვფიქრობთ, ჩვენს გუნდებთან დაკავშირებით ყველაფერი ცხადია - პირველმა მატჩებმა გამოაჩინა, რომ იქ არ არის „მეტალურგის" ადგილი, სამაგიეროდ „დინამო" ცალი ფეხით იქაა. მოდი, ვნახოთ, რა ხდებოდა სხვა წყვილებში, ამ ეტაპზე უკვე ჩაება რამდენიმე ფავორიტი.


ფაბრიციო მიკოლიმ პალერმო მარცხისგან იხსნა

მადრიდის „ატლეტიკო" ევროპალიგის პირველი ტურნირის გამარჯვებულია - 2010 წელს „ატლეტიკომ" **კიკე ფლორესის** ხელმძღვანელობით იმარჯვა. ახლა კი ამ გუნდს **გრეგორიო მანსანო** წვრთნის. ფავორიტს „ვისენტე კალდერონზე" მძიმე სტარტი გამოუვიდა, ნორვეგიულ „სტრომსგოდსეტს" კი მოუგო, მაგრამ მე-80 წუთზე **ოივინდ სტორფლორის** გოლმა სტუმრებს საპასუხო მატჩის წინ შანსი დაუტოვა - 2:1.

პუბლიკას სახეცვლილი „ატლეტიკო" წარუდგა - კარში ინგლისში წასული **დავიდ დე ხეას** ნაცვლად **ხოელი** იდგა, დაცვაში **ალვარო დომინგესსა** და **ფილიპე ლუიშს** პორტუგალიელი **სილვიო** („ბრაგადან") და ბრაზილიელი **მირანდა** („სან პაულუდან") შეემატნენ. ნახევარდაცვაში **ტიაგოს**, **რეიესსა** და **ხუანფრანს** ერთი ახალწვეული დაემატა - **გაბი**. შეტევაში **დიეგო ფორლანს** ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი და ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი **ადრიან ლოპესი** შეუწყვილდა. უნდა ითქვას, რომ „მანჩესტერ სიტიში" სასნაულ ფასად გაყიდული **სერხიო აგუეროსა** და წინა დღით სასტიკად დამტვრეული ბრაზილიელი **დიეგო კოშტას** არყოფნა გუნდს ადრიანმა არ შეამჩნევინა, ცენტრფორვარდმა ორი საგოლე პასი მიითვალა, ორივეჯერ მისი ადრესატი „ატლეტიკოს" ლიდერი **რეიესი** იყო.


სტოკი-ჰაიდუკი

სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა - 54-ე წუთზე დიეგო ფორლანმა ჩაკიდა საჯარიმოში, ადრიანმა ბურთი მკერდით გაიჩერა და რეიესს დაუგორა. 74-ე წუთზე ადრიანმა შორეული პასი მიიღო და მცველთან ჭიდილში ბურთი შეინარჩუნა და ისევ რეიესი მოძებნა. 2 წუთში „ატლეტიკოს" ჩარხი უკულმა დატრიალდა, ესპანელებს ჯერ დებიუტანტი მირანდა გაუძევეს, შემდეგ კი მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ფეხი სტორფლორმა დაუხვედრა. ერთ კვირაში საპასუხო მატჩი ნორვეგიის ქალაქ დრამენში გაიმართება. წყვილში უთუოდ კვლავ „ატლეტიკოა" ფავორიტი, მაგრამ ესპანელებს მოდუნების უფლება არ აქვთ.

ინგლისს ამ ეტაპზე „ფულჰემი" და „სტოკ სიტი" წარადგენენ. ლონდონური კლუბი „ფეარ პლეის" კვოტით მოხვდა ევროთასებზე, ამიტომ მას მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპიდან უწევს ბრძოლა. **მარტინ იოლის** გუნდი ხორვატიაში „სპლიტს" 0:0 დაუზავდა. ინგლისელები მეტოქის კარს სულ 2-ჯერ დაემუქრნენ, ამიტომაც, მათთვის ეს შედეგი მიღწევაა. ბედის ირონიით, „სტოკ სიტიც" ქალაქ სპლიტის კლუბს ხვდებოდა, თუმცა „ჰაიდუკი" უფრო ცნობილი გუნდია. „სტოკის" 27 წლის ირლანდიელმა ფორვარდმა **ჯონათან ვალტერსმა** მე-3 წუთზე გახსნა ანგარიში „ბრიტანიაზე". გოლი ბრიტანულ სტილში იყო, მარცხნიდან ჩაწოდებულს ვალტერსმა თავი ოსტატურად დაუხვედრა. მეტი გოლი ამ თამაშში არ გასულა - ახლა „სტოკი" სპლიტს ეწვევა, ხოლო „სპლიტი" - ბრიტანეთს.

გერმანიის წარმომადგენელი „მაინცი" რუმინულ „გაზ მეთანს" მასპინძლობდა, რომლის რიგებშიც **აკაკი ხუბუტია** თამაშობს (ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო). გერმანელები მეტს და უფრო მწვავედ უტევდნენ, თუმცა საბოლოო შედეგმა მაინც მედიაშელთა გულშემატკივრები გაახარა - 1:1.


ლეონი კვეუკემ (სპარტა) ჰეთ თრიკი შეასრულა

იტალიელთა სუსტი ასპარეზობა ევროთასებზე ლამის ტრადიციად იქცეს, ახლა ეს უკვე საკვალიფიკაციო ეტაპსაც შეეხო - „პალერმომ" შინ ვერ მოუგო შვეიცარიულ „თუნს" - 2:2. მოგებას ვინ ჩივის, რომ არა **ფაბრიციო მიკოლის** სუპერგოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე, სიცილიელები წააგებდნენ ამ თამაშს. მიკოლიმ საჯარიმო შეასრულა ოსტატურად, ბურთი ცოცხალ კედელს შემოატარა და „ცხრიანში" გაიტანა.

მოულოდნელობებზეც ვთქვათ, კვიპროსის აეკ-მა 3:0 მოუგო ჩეხურ „მლადა ბოლესლავს", რუსული „ალანია" შინ ძლივს დაუძვრა მარცხს ყაზახურ „აქტობესთან" - 1:1, ნორვეგიულმა „ალესუნდმა" საპასუხო მატჩის წინ უშანსოდ დატოვა შვედური „ელფსბორგი" - 4:0, კვიპროსულმა „ომონიამ" კი დიდი ანგარიშით დაამარცხა ჰოლანდიური „დენ ჰააგი" - 3:0.

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩების უდავო გმირი კი პრაღის „სპარტას" კამერუნელი ფორვარდი **ლეონი კვეუკეა**, 24 წლის კვეუკემ „სარაევო" პირადად „დააჯილდოვა" 3 გოლით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოლანდიის ნაკრები

# სანაკრებო რჩეულები



არიენ რობენი მილანელ ტაიე ტაივოსთან შეჯახების შემდეგ

**ბერტ ვან მარვიიკმა** დაასახელა ჰოლანდიის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა, რომელიც 10 აგვისტოს ინგლისის ნაკრებთან შესახვედრად მოემზადება. მწვრთნელის გადაწყვეტილებით მასში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ვერ მოხვდა, ვინც წინა შეკრებებზე იყო მიწვეული - მათ შორის **რუუდ ვან ნისტელროოი, ჯერმეინ ლენსი** და **დემი დე ზეუვი**. გამოძახებულია, მაგრამ საეჭვოა კუნძულელებთან დაპირისპირებაში ითამაშოს ბაიერნელმა **არიენ რობენმა**, რადგან მან აუდის თასზე "მილანთან" შეხვედრაში მეტოქესთან შეჯახებისას ფეხი დაიზიანა. საშიში არაფერია, თუმცა ექიმები მას 5-7 დღე ვარჯიშის უფლებას არ მისცემენ. ვან მარვიიკის ლაშქარი სრულად ასე გამოიყურება:

მეკარეები: **ტიმ კრული** (ნიუკასლი, ინგლისი), **მაარტენ სტეკელენბურგი** (აიაქსი), **მიხაელ ვორმი** (უტრეხტი)

მცველები: **ხალიდ ბულაჰრუზი** (შტუტგარტი, გერმანია), **ედსონ ბრაფჰეიდი** (ჰოფენჰაიმი, გერმანია), **ჯეფრი ბრუმა** (ჰამბურგი, გერმანია), **ჯონ ჰეიტინგა** (ევერტონი, ინგლისი), **იორის მატიისენი** (მალაგა, ესპანეთი), **ერიკ პიტერსი** (ეინდჰოვენი), **რონ ვლაარი** (ფეიენოორდი), **გრეგორი ვან დერ ვილი** (აიაქსი)

ნახევარმცველები: **იბრაჰიმ აფელაი** (ბარსელონა, ესპანეთი), **მარკ ვან ბომელი** (მილანი, იტალია), **ტეო იანსენი** (აიაქსი), **ნაიჯელ დე იონგი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **ჰედვიგეს მადურო** (ვალენსია, ესპანეთი), **სტინ სხაარსი** (სპორტინგი, პორტუგალია), **ვესლი სნეიდერი** (ინტერი, იტალია), **კევინ სტროოტმანი** (ეინდჰოვენი), **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ტოტენჰემი, ინგლისი)

თავდამსხმელები: **ელიერო ელია** (ჰამბურგი, გერმანია), **კლაას იან ჰუნტელაარი** (შალკე, გერმანია), **ლუკ დე იონგი** (ტვენტე), **დირკ კუიტი** (ლივერპული, ინგლისი), **რობინ ვან პერსი** (არსენალი, ინგლისი), **არიენ რობენი** (ბაიერნი, გერმანია)

● უკრაინის ნაკრები

# შვედებთან ორი ლეგიონერით

ხარკოვის "მეტალისტის" ფეხბურთელებმა, სერბმა **მარკო დევიჩმა** და ბრაზილიელმა **ედმარმა** უკრაინის ნაკრებში მიწვევა ოფიციალურად მიიღეს. ბუნებრივია, ორივე ფეხბურთელი უკრაინის მოქალაქეა. ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე **ოლეგ ბლოხინმა** ამ ორი ფეხბურთელის გამოცდა არ გამორიცხა. ახლა კი, როგორც ჩანს, სურს, დანაპირები შეასრულოს. გეტყვით, რომ უკრაინა 10 აგვისტოს შვედებს ამხანაგურ შეხვედრაში სწორედ ხარკოვში დაუპირისპირდება.

31 წლის ბრაზილიელი უკრაინის ჩემპიონატში, კერძოდ "ტავრიაში" 2003/07 წლებში თამაშობდა, 2007-დან კი ხარკოვული კლუბის წევრია. ფეხბურთელმა უკრაინის მოქალაქეობა 2011 წლის მარტში მიიღო. აი, რას აცხადებს ის: *"მოხარული ვარ, რომ უკრაინის ნაკრებში მიმიწვიეს. სიმართლე გითხრათ ამას არ ველოდი. ბრაზილია ჩემი სამშობლოა, მაგრამ არც უკრაინა მიყვარს ნაკლებად. აქ ყველაფერი ვიპოვე, რაც მინდოდა – ავაწყვე კარგი საფეხბურთო კარიერა, მყავს უკრაინელი მეუღლე და ჩემი შვილი ფილიპიც აქ დაიბადა. თავად ცხოვრებამ მაქცია უკრაინელად. ბედნიერი ვარ რომ ასე მოხდა".*

შეკრებაზე შემდეგი ფეხბურთელები გამოცხადდებიან:

მეკარეები: **ალექსანდრ შოვკოვსკი** (დინამო, კ), **ანდრეი დიკანი** (სპარტაკი, მ. რუსეთი)

მცველები: **ალექსანდრ კუჩერი, იაროსლავ რაკიცკი** (ორივე შახტარი), **არტემ ფედეცკი** (კარპატი), **ანდრეი რუსოლი, ვიტალი მანძიუკი** (ორივე დნიპრო)

ნახევარმცველები: **ოლეგ გუსევი, ანდრეი იარმოლენკო** (ორივე დინამო კ), **ევგენი კონოპლიაკა, რუსლან როტანი** (ორივე დნიპრო), **მაქსიმ კალინიჩენკო** (ტავრია), **ალექსეი გაი** (შახტარი), **ედმარი** (მეტალისტი), **ანატოლი ტიმოშჩუკი** (ბაიერნი, გერმანია)

თავდამსხმელები: **ანდრეი შევჩენკო, არტემ მილევსკი** (ორივე დინამო, კ), **მარკო დევიჩი** (მეტალისტი), **ალექსეი ანტონოვი** (დნიპრო), **ანდრეი ვორონინი** (დინამო, მ, რუსეთი)




● აშშ-ის ნაკრები

# დრო იყო ცვლილებების



იურგენ კლინსმანი შესაძლოა აშშ-ის ნაკრებში დანიშნონ

აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **სუნილ გულატიმ** მასმედიას ამცნო, რომ ამიერიდან ნაკრების სათავეში **ბობ ბრედლი** აღარ იდგება. ჩინოვნიკმა გადაწყვეტილების ასახსნელად ზოგადად ცვლილებების აუცილებლობა დაასახელა. აი, რას აცხადებს კონკრეტულად ეს ადამიანი: *"გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ბობ ბრედლის იმ სამუშაოსთვის, რაც მან ნაციონალურ გუნდთან ჩაატარა, იმ ერთგულებისთვის, რასაც 5 წლის განმავლობაში იჩენდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოახერხა გუნდმა საუკეთესო შედეგების ჩვენება. ამ ყოველივეს ვითვალისწინებთ, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ძირეული ცვლილებების დრო დადგა. რთულია მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთ პატივსაცემ ადამიანს ემშვიდობები, როგორიც ბობ ბრედლია. ჩვენ მას შემდგომ კარიერულ წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებთ".*

მისტერ ბრედლიმ აშშ 2006 წელს ჩაიბარა და მასთან ერთად 2007 წელს კონკაკაფის თასი მოიგო, 2009-ში კონფედერაციათა თასის ფინალში გავიდა. ნახევარფინალში მისმა ნაკრებმა ესპანეთი სენსაციურად დაამარცხა 2:0, ფინალში ამავე ანგარიშით ამარცხებდა ბრაზილიას, თუმცა "პენტაკამპეონებთან" ბოლოს მაინც დამარცხდა 2:3, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი აშშ 1/8-ფინალში დამარცხდა.

ეს ინფორმაცია ჯერ "გაციებულიც" არ იყო, რომ სპორტულმა ვებგვერდებმა სპეკულაციები წამოიწყეს ამერიკელთა მომავალ მთავარ მწვრთნელზე. ამ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული უმუშევარი მწვრთნელი გერმანელი **იურგენ კლინსმანია** (სხვათა შორის დღეს ის 47 წლის გახდა). სპეციალისტი, რომელიც გერმანიის ნაკრებს ორი წელიწადი ედგა სათავეში და შინ გამართულ მუნდიალზე ნახევარფინალში გაიყვანა. იურგენი კარიერის დასრულების დღიდან, ანუ 1998 წლის აგვისტოს შემდეგ აშშ-ში, ფლორიდაში ცხოვრობს. ის მშვენივრად იცნობს ამერიკულ ფეხბურთს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, იდეალურად ფლობს რამდენიმე უცხო ენას და შესაბამისად მულტინაციონალურ ქვეყანაში შეგირდებთან ურთიერთობის პრობლემა არ შეექმნება. გადაწყვეტილება ეროვნულ ნაკრებში მისი დანიშვნა-არდანიშვნის შესახებ ოკეანის გაღმა გვიან საღამოს უნდა მიეღოთ.

***P.S. იურგენ კლინსმანის აშშ-ის ნაკრებში დანიშვნა გუშინ გვიან ოფიციალურად დადასტურდა.***

● არგენტინის ნაკრები



ახალი მთავარი მწვრთნელი ალეხანდრო საბელია

# ალბისელესტეს ახალი მოძღვარი

არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად რამდენიმე დღის წინ პოსტიდან გაშვებული **სერხიო ბატისტას** ნაცვლად 56 წლის **ალეხანდრო საბელია** დაინიშნა. ეს ინფორმაცია პირველად ფიდას ვებგვერდმა გამოაქვეყნა. ჯერ კიდევ გუშინწინ საღამოს იყო ცნობილი, რომ აფფ-ს გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა, რომლის გამოქვეყნებასაც ის მეორე დღეს გეგმავდა. ეს ინტრიგა მასმედიაში ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ხოსე ლუის მეისნერმა** დათესა. არგენტინული გაზეთები, მაგალითად "კლარინი", საბელიას იქამდეც მიიჩნევდნენ ფავორიტად.

საბელიამ სამწვრთნელო კარიერა 90-იანებში დაიწყო. ის დიდხანს **დანიელ პასარელას** ასისტენტად მუშაობდა ჯერ "პარმაში", "მონტერეისა" და ბოლოს "კორინთიანსშიც", შემდეგ კი არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებებში. პირველად მთავარი მწვრთნელი საბელია 2009 წლის მარტში გახდა, როცა "ესტუდიანტესი" ჩაიბარა. იმავე წლის ივლისში "ახალგამომცხვარმა" მწვრთნელმა გუნდს კოპა ლიბერტადორესი მოაგებინა. 2010 წელს კი ისევ "სტუდენტებთან" ერთად აპერტურა მოიგო. "ესტუდიანტესს" საბელია წელს თებერვალში დაშორდა და მას შემდეგ ისვენებდა, რამდენიმე დღეში კი ყატარულ "ალ ჯაზირაში" უნდა დაეწყო მუშაობა. საბელიამ "ალბისელესტეს" ჩაბარების ცდუნებას ვერ გაუძლო და არაბებს უარი შეუთვალა.

● პარი სენ-ჟერმენი

# პარკ დე პრენსის ახალი მკვიდრები

"პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობა აშკარად აღარ ხუმრობს. ივლისის პირველი ნახევრის პასიურად გატარების შემდეგ ისინი ერთბაშად აფეთქდნენ და ბოლო ერთ კვირაში გუნდში უკვე 6 ახალწვეული მოიყვანეს. მთავარი, რითიც მათ შეუძლიათ იამაყონ, ეს "პალერმოდან" არგენტინელი ნახევარმცველის **ხავიერ პასტორეს** ტრანსფერია. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ სუპერტალანტი გადაიბირეს. ამ ბრძოლაში მათ **რომან აბრამოვიჩის** "ჩელსის" აჯობეს. წყარო იტყობინება, რომ პარიზელები სიცილიელებს 22 წლის ფეხბურთელში 45 მილიონ ევროს გადაუხდიან. ამ თანხას იხდიდა სამხრეთამერიკელში "ჩელსიც", მაგრამ როგორც ჩანს, "პარი სენ-ჟერმენის" წინადადება ლონდონელთა შეთავაზებას ცოტათი მაინც აღემატებოდა, რამაც სასწორის პინა მათ მხარეს გადახარა. "პალერმოს" ფეხბურთელის შეძენას "ჩელსის" გარდა "მანჩესტერ სიტი", "მილანი" და "ინტერიც" ცდილობდნენ, თუმცა **მაურიციო ძამპარინიმ** უშუალო კონკურენტების გაძლიერება არ ისურვა და ფეხბურთელის მიყიდვაზე იტალიის სერია A-ს გუნდებს კატეგორიული უარი უთხრა. შარშან პასტორემ "პალერმოს" შემადგენლობაში 35 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა.

"პარიზიენის" ცნობით, პასტორეს გარდა "პარი სენ-ჟერმენმა" "პალერმოს" სხვა ფეხბურთელიც იყიდა. ლაპარაკია 24 წლის მეკარე **სალვატორე სირიგუზე**, ვისი შეძენაც ფრანგებს 3,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. ამას გარდა პარიზელებმა "იუვენტუსთანაც" მიაღწიეს შეთანხმებას და 26 წლის საყრდენი ნახევარმცველი **მოჰამედ (მომო) სისოკოც** დაიბევეს. მალელ ფეხბურთელში პარიზული კლუბი 7 მილიონ ევროს გადაიხდის.

ახალწვეულები აღტაცებულები არიან "პარი სენ-ჟერმენში" თამაშის პერსპექტივით. *"ამ პსჟ-ში თამაში დიდი გამოწვევაა. არჩევანი ამ კლუბზე სწორედ ამბიციურობის გამო შევაჩერე. დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ჩვენ დიდი წარმატებები გველის,"* – აცხადებს სისოკო. *"მოხარული ვარ, რომ პსჟ-ის წევრი გავხდი. კლუბი აშკარად სწორი მიმართულებით მიდის. მე დიდად მომხიბლა გუნდურმა ფილოსოფიამაც,"* - დასძინა იტალიის ნაკრების მეკარემ.

● ამბები

## ანდერლეხტის უარი

"ანდერლეხტი" დათანხმდა 28 წლის უნგრელი ცენტრალური მცველის **როლანდ ოუჰაშის** გაყიდვას. მსურველებისგან კლუბი ფეხბურთელში სულ რაღაც 4 მილიონ ფუნტს ითხოვს. "რეინჯერსმა" შეიტყო თუ არა ეს ამბავი, "ანდერლეხტს" უმალ მიმართა, მაგრამ 4-ის ნაცვლად 2,5 მილიონი შესთავაზა. *"ჩვენ "რეინჯერსისგან" მეორე წერილი მივიღეთ, სადაც შოტლანდიელებმა უკვე დააკონკრეტეს, რომ მზად არიან გადაიხადონ კონკრეტული თანხა, მაგრამ მათი წინადადება არასერიოზული იყო. ფეხბურთელს, ვისაც ჩვენთან მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებს 2,5 მილიონად ვერ შევეელევით,"* – ნათქვამია ბელგიელთა ერთ-ერთი ჩინოვნიკის განცხადებაში.

## დაჭერები გრძელდება

თურქეთში საფეხბურთო სკანდალი არა და არ ცხრება. თურქულმა ვებგვერდებმა საერთაშორისო საზოგადოებას ახალი დაჭერების შესახებ ამცნეს. ამჯერად თურქეთის შსს-მ "ფენერბაჰჩეს" ვიცე-პრეზიდენტი **მურატ ოზოიდინლი** და კიდევ სამი ნაკლებად ცნობილი პირი დააკავა. მათ ბრალდება უკვე წაუყენეს. ბუნებრივია გამოძიება, ისევე როგორც სხვებს, მათაც მატჩების ჩაწყობას ედავება. ერთ-ერთი სააგენტო იუწყება, რომ გუშინ დაკავებულთა შორის ერთ-ერთი ქვედა ლიგის ფეხბურთელია.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის **რეჯეფ ტაი ერდოღანის** განცხადებით, ის სამართალდამცავებისგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს, რათა "თურქული ფეხბურთის გამოჯანმრთელების გზამ შეუქცევადი ხასიათი" მიიღოს. სულ პოლიციამ 100-ზე მეტი ადამიანი დააკავა, მაგრამ მათგან ბრალდება 30-ზე ცოტა მეტს წაუყენა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელების ცოლები

# მამენ სენსი: რაულის მზრუნველი ცოლი



## მამენ სენსი

**სრული სახელი:** მარია დელ კარმენ რედონდო სენსი

**დაბადების თარიღი:** 1976 წლის 23 ივნისი

**დაბადების ადგილი:** ესპანეთი, მადრიდი

**სიმაღლე:** 179 სმ

**პარამეტრები:** 90-61-90

**თვალის ფერი:** მუქი ყავისფერი

**თმის ფერი:** შავი

**არის:** გერმანული "შალკე 04-ის" ესპანელი ფეხბურთელის რაულ გონსალეს ბლანკოს მეუღლე, წარმატებული მოდელი.

1997 წელს მან მონაწილეობა მიიღო სუპერმოდელთა კონკურსში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. სამოდელო სფეროში მამენს ნამუშევარი აქვს არაერთ მსხვილ სააგენტოსთან.



## გზა რაულამდე

**მარია დელ კარმენ რედონდო სენსი ან უბრალოდ მამენ სენსი** მადრიდში დაიბადა. ზოგის თქმით, ის მადრიდის "რეალის" ყოფილი პრეზიდენტის ლორენსო სენსის ქალიშვილია, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება (ლორენსოს ქალიშვილი მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ყოფილი მცველის მიჩელ სალგადოს ცოლია). მამენი წლების განმავლობაში არაერთ წამყვან სამოდელო ბრენდთან თანამშრომლობდა. მიიჩნევენ, რომ ის კლასიკური სტილის მქონე მოდელთა შორისაა. სამოდელო საქმიანობის გარდა საიუველირო ბიზნესშიც სცადა ბედი და საკმაოდ წარმატებითაც. საინტერესოა ისიც, რომ გასულ წელს მამენმა მადრიდის კამილო ხოსეს სახელობის უნივერსიტეტის ბავშვთა ადრეული განათლების ფაკულტეტი დაამთავრა.

## ეს იყო მადრიდში

1997 წელს „რეალის" ამომავალმა ვარსკვლავმა რაულ გონსალეს ბლანკომ ბარში მომუშავე შესანიშნავი შესახედაობის ახალგაზრდა გოგონა გაიცნო. მამენი სამოდელო კარიერას ბარში მუშაობასაც უთავსებდა და აქვე გამომუშავებული ხელფასით თავს ირჩენდა.



ოფიციანტის სამოსში გამოწყობილმა მამენმა რაულიც მოხიბლა და თავადაც მოიხიბლა. მამენის გამოჩენით რაულმა მეგობარი გოგონა მიატოვა.

## ხუთი ბავშვი

რაულისა და მამენის ურთიერთობა 1999 წლის პირველ ივლისს საქორწინო მარშით დაგვირგვინდა. ქორწილი მადრიდში, **ვილა ფრანკა დელ კასტილიოში** გადაიხადეს. მათ 5 შვილი ჰყავთ - პირველი ვაჟი **ხორხე** 2000 წლის 25 თებერვალს, ხოლო მეორე ვაჟი **უგო** 2002 წლის 20 ნოემბერს შეეძინათ, მოგვიანებით მათ ოჯახს ტყუპი ვაჟი შეემატა - 2005 წლის 17 ნოემბერს **მატეო** და **ექტორი** დაიბადნენ, ხოლო ნაბოლარა ქალიშვილი **მარია** 2009 წლის 4 დეკემბერს მოევლინა ქვეყანას.

## მამენი ვიკის წინააღმდეგ

2003 წელს მადრიდის "რეალი" ვარსკვლავებით გადავსებულ გალაქტიკას წარმოადგენდა. „რეალის" ფეხბურთელებს ერთმანეთში შესაძლოა იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ მათი ცოლები ერთურთს ნამდვილად არ სწყალობდნენ. მას შემდეგ, რაც **დევიდ ბექჰემი** სათამაშოდ "რეალში" გადავიდა, მამენისა და **ვიქტორია ბექჰემის** ურთიერთობაში კონფლიქტი დაიწყო. იმ პერიოდში ვიკი სამოდელო ბიზნესში აპირებდა აქტიურად ჩართვას, რაც მამენმა გააკრიტიკა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. საბედნიეროდ, კონფლიქტი ხელჩართულ ჩხუბში არ გადაზრდილა.





## მზრუნველი მამა

ხუთი შვილის აღზრდას ოჯახი ღირსეულად ართმევს თავს. რაული ცოლშვილისადმი უზომო სიყვარულს არც მოედანზე ივიწყებს და ყოველი გატანილი გოლის შემდეგ ჩვეულ რიტუალს ასრულებს - მეუღლის პატივისცემის ნიშნად საქორწინო ბეჭედს კოცნის. 4 ვაჟის მამას საამაყოდ საქმე ნამდვილად აქვს. ესპანელ ჟურნალისტებს მამენმა ბავშვების სამომავლო სურვილები გაუმხილა. აღმოჩნა, რომ ბიჭებს მამის მსგავსად დიდი ფეხბურთის თამაში სურთ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბლანკოების ოჯახიდან სამომავლოდ ესპანურ ფეხბურთს კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეემატება.

**სალომე ხარატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ტრაბზონი 2011

# უტრეხტში შეხვედრამდე!



კახა ბერიძე
ტრაბზონიდან

სპეციალურად „ლელოსთვის"

TRABZON2011
11TH EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
AVRUPA GENÇLİK OLİMPİK OYUNLARI

„ტრაბზონი 2011" ძიუდოისტ **გიორგი ლაზუაშვილის** ბრინჯაოს მედლით დავაგვირგვინეთ, არადა, შანსი იყო ფესტივალი უფრო ამაღლებული განწყობით დაგვესრულებინა. ჩვენებურმა შეჯიბრება რიხით დაიწყო და უნგრელ **ფაბია ატილასთან** იმარჯვა. ძიუდოს სამყაროში კარგად ჩახედულმა იცის, რომ უნგრეთს ძიუდოს ცუდი სკოლა არ აქვს, შესაბამისად, არც ხელწამოსაკრავი ფალავნები ჰყავთ. ამიტომაც ატილას ასპარეზობიდან გამოთიშვა გიორგი ლაზუაშვილს აქტივში უნდა ჩავუთვალოთ. აი, მომდევნო წრეში უკრაინელ **სერგეი ზვიერიევთან** კი დასანანად დამარცხდა, რომელიც მოგვიანებით ჩემპიონი გახდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ქართველს მასთან გამარჯვება ნამდვილად ხელეწიფებოდა. „ლაზუ", რომ იპონზე დაცემულიყო, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ, როდესაც თანაბარ ბრძოლაში მხოლოდ გაფრთხილებით წააგებ, გულდასაწყვეტია. აქვე დავძენ, რომ გუშინ ძიუდოში აშკარად უკრაინელთა დღე იყო – სამი ოქროს მედალიც ამაზე მეტყველებს. საბოლოოდ ლაზუაშვილი რეპეშაჟში გადაერთო და საქმეც ბოლომდე მიიყვანა. ბერძენი **ვასილეიოს ზაგკირიდისი** არ გამოუცხადდა. ბოსნიელ **ჰარუმ ზადიკოვიჩთან** ცოტა კი გვანერვიულა, ერთ ეპიზოდში ბოსნიელმა ლამის იპონზეც დააგდო, მაგრამ ლაზუაშვილმა მძიმე სიტუაციიდან თავი დაიძვრინა და იქით შეუტია. ბრინჯაოს მედლისთვის გადამწყვეტ შეხვედრაში აზერბაიჯანელი **ზაურ ჰუსეინალი** უმალ შებოჭა და მესამე პრიზიორიც დამსახურებულად გახდა.

**შალვა ჩოჩელს** (90კგ) სტარტზე უკრაინელ მომავალ გამარჯვებულ **ანტონ სავიცკისთან** შანსი არ ჰქონდა, დამამშვიდებელში კი ფინალამდე მიაღწია და იქ რუს **ახმედ მაგომედოვთან** მსაჯთა სუბიექტური გადაწყვეტილებით დამარცხდა. შალვა აქტიურობდა, ბევრსაც უტევდა, მაგრამ რატომღაც ჰანტეით ორით ერთზე უპირატესობით რუსს მიანიჭეს. მანამდე კი ჩოჩელმა სლოვაკი და რუმინელი მეტოქეები ჩამოიცილა გზიდან.

„დიდებული ტრაბზონი", „საუკეთესო ფესტივალი", „წინ, წინ ტრაბზონო", „ტრაბზონის თამაშებით თურქეთმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა დიდი ოლიმპიადის მასპინძლობისთვის" - თურქულ პრესაში დადებითი ემოციების ნიაღვარია. იმავეს იმეორებს ერთ-ერთ ინტერვიუში ეოკ-ის პრეზიდენტი **პატრიკ ჰიკი,** რომელიც ტრაბზონს გაწეული მუშაობისთვის მადლობას უხდის და უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში წარმატებებს უსურვებს. *„ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ახალგაზრდული ფესტივალი შვილივით მიყვარს. მიმაჩნია, რომ იგი ოლიმპიური მოძრაობის უდიდესი მონაპოვარია"* - დასძენს პატრიკ ჰიკი. ლოგორც ცობილია, თურქეთს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ამოუჭრიათ გულში და იმედი აქვთ, ფესტივალის ჩატარება ამ საქმეში სასიკეთოდ წაადგებათ. ფაქტია, რომ ჩვენს მეზობლებს არაერთი კონტინენტალური თუ მსოფლიოს მაღალი დონის სპორტული ღონისძიებებისთვის უმასპინძლიათ და ვინ იცის, იქნებ ოლიმპიადის ჩატარების პატივიც ერგოთ. თუ ბედმა გაუღიმათ, იმედია, ტრაბზონულ გამოცდილებას გაიზიარებენ და მიხვდებიან, რომ ასეთი გრანდიოზული სპორტული ფორუმების ორგანიზება მხოლოდ კარგი კვება არ არის.

ფესტივალის მსვლელობას ტრაბზონში 2013 და 2015 წლის მასპინძელი ქვეყნების ჰოლანდიისა და საქართველოს დამკვირვებლებიც ადევნებდნენ თვალყურს და ბევრი რამ მოინიშნეს. ამ ეტაპზე უფრო ტიტების ქვეყნის წარმომადგენლები აქტიურობდნენ, რადგან ორი წლის შემდეგ ნორჩ ოლიმპიელებს უტრეხტი უმასპინძლებს. ჰოლანდიელებმა ოლიმპიურ სოფელში მცირე პრეზენტაცია მოაწყვეს, ხოლო დახურვის ცერემონიალზე ნიდერლანდელებმა ალუმზე ასეთი ლოზუნგით ჩაიარეს - „მადლობთ, ტრაბზონო, გელით უტრეხტში". ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდული ფესტივალების ისტორიაში ჰოლანდია ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა, სადაც იგი მეორედ ჩატარდება.

საბოლოო მონაცემებით საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველომ 24-ე ადგილი (1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი) დაიკავა. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან ჩვენზე წინაა რუსეთი (21, 17, 16), უკრაინა (8, 4, 3), ბელარუსი (4, 1, 4), ლიტვა (3, 4, 3), ლატვია (1, 3, 1), აზერბაიჯანი ( 1, 2, 0). პირველი სამეული კი ასეთია: 1. რუსეთი, 2. დიდი ბრიტანეთი (17, 10,6), 3. უკრაინა.

გუშინ საღამოს დახურვის ცერემონიალი გაიმართა (საქართველოს მედროშე **ლაშა ლულელაური** იყო). რომელიც ისეთივე შთამბეჭდავი გამოდგა, როგორიც გახსნა.

ამრიგად, რიგით მეთერთმეტე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

ორი წლის შემდეგ უტრეხტში შეხვედრამდე!



ავტორის ფოტო

ერთადერთი ოქროს მედალი ფესტივალზე ბექა ღვინიაშვილმა მოიპოვა.

ჭიდაობა

# პოლონური ტურნირები ქართველთა სამზადისში

ხვალ და ზეგ პოლონეთის ქალაქ პოზნანში ციოლკოვსკის სახელობის მემორიალი ტარდება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც სამი ქართველიც მიიღებს მონაწილეობას: **მიხეილ ზარქუა, ბექა ლომთაძე** (ორივე - 60) და **ელიზბარ ოდიკაძე** (96). მოგეხსენებათ, ეს გუნდი მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება, პოლონეთის ტურნირი კი მწვრთნელებს სათადარიგო ვარიანტად ჰქონდათ შემონახული იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმეს სატურნირო პრაქტიკის დანაკლისს შეამჩნევდნენ.

პოლონეთშივე იჭიდავებენ ქართველი ბერძენრომაელებიც, ოღონდ ცოტა გვიან და სხვა შეჯიბრებაში - 5-6 აგვისტოს ქალაქ რადომში პეტლიასინსკის მემორიალში გამოვლენ. „თავისუფალთა" დამრიგებელ **ზაზა თურმანიძისგან** განსხვავებით, **ბეგი დარჩიას** იქ უფრო მრავალრიცხოვანი გუნდი მიჰყავს: **ზურაბ მაჭარაშვილი** (55), **ლაშა გოგიტაძე** (60), **რევაზ ლაშხი, მანუჩარ ცხადაია, არჩილ თურმანიძე** (სამივე - 66), **მანუჩარ კვირკველია, ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე, ვასილ იმერლიშვილი, ირაკლი ქაჯაია** (სამივე - 96), **სერგო გოგისვანიძე, რევაზ ჭელიძე** (120). მწვრთნელი გოგიტაძეს, ლაშხს და კვირკველიას წონას არ აკლებინებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ მსოფლიოს პირველობაზე აჭიდავებს. მართალია, ის ტურნირი სექტემბერში იმართება, მაგრამ მაინც მცირე დროა იქამდე, ამ მოკლე პერიოდში წონის ორჯერ დაკლება კი არ არის სასურველი. თუმცა ევროპის წლევანდელ ჩემპიონ ლაშხს რომ განაღდებული აქვს მსოფლიოზე წასვლა, დარჩია ამას არც მალავს.

ბერძენ-რომაელები პოლონეთში ბელარუსის გავლით წავლენ და თბილისიდან 3 აგვისტოს გაემგზავრებიან - მინსკში ჩაფრინდებიან და იქიდან გადავლენ რადომში. მინსკში, სტაიკების ოლიმპიურ ბაზაზე შეკრება აქვთ დაგეგმილი, რომელსაც პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ, 8 აგვისტოს დაიწყებენ. 9-ში მათ ახალგაზრდული ნაკრების ოთხი ლიდერიც დაემატება — ამ დღეებში დამთავრებული მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონები - **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **შოთა გოგისვანიძე** (120) და ვერცხლის მედალოსნები - **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **სანდრო დიხამინჯია** (96).

**ირაკლი თავაძე**

# შარაძემ წააგო, ჯერი თავისუფლებზეა

JUNIOR WRESTLING WORLD CHAMPIONSHIP
BUCHAREST. 25 - 31 JULY 2011

ბუქარესტში მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის. დღეს ქალთა ტურნირი დამთავრდა, რომელშიც საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავდა - ბათუმელი **შორენა შარაძე** (63) და ისიც პირველივე წრეში დამარცხდა იაპონელ **რიო ვატარისთან.** რადგან ფინალში ვერც იაპონელი გავიდა, არც ჩვენებურს მიეცა სანუგეშო წრეში ჩართვის საშუალება.

შარაძეს ჩვენში უფრო ძიუდოისტად იცნობენ, რადგან ძირითადად იქ გამოდის. საქართველოში ქალთა ძიუდოს კიდევ გააჩნია ისტორია, ჭიდაობას კი აქაური ქალები ნაკლებად ეტანებიან, თუმცა შარაძე პირველი მერცხალი არაა - დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში **ელა გილიგაშვილი** იყო პირველი ქართველი ქალი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავა.

ხვალიდან ბუქარესტში ტურნირში უკვე თავისუფალი სტილით მოასპარეზენი ჩაებმებიან. **ნუგზარ სხირელის** გუნდის ღირსებას **ლევან როჭიკაშვილი** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით გალეგაშვილი** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **მამუკა კორძაია** (96) და **თედორე ებანოიძე** (120) დაიცავენ. მათგან ხინჩეგაშვილმა და მარსაგიშვილმა ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელ პირველობაზე გაიმარჯვეს (მარსაგიშვილი ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედაც დასახელდა), პეტრიაშვილმა ვერცხლი მოიპოვა, ჩოჩიშვილი და ებანოიძე კი მესამეზე გავიდნენ, ოღონდ მაშინ ებანოიძემ 96-ში იჭიდავა. ევროპაზე მძიმე წონაში **გენო პეტრიაშვილიც** მესამეზე გავიდა, მაგრამ ამჯერად ჭაბუკთა მსოფლიოსთვის ემზადება.

მსოფლიოს შარშანდელ ახალგაზრდულ პირველობაზე ამ გუნდმა 5 მედალი მოიპოვა. აქედან 2-2 ოქრო და ბრინჯაოა. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონები ხინჩეგაშვილი და **დავით ხუციშვილი** (74) გახდნენ, **ლაშა ტალახაძემ** (50) ვერცხლი მოიპოვა, მესამე საპრიზო ადგილებზე კი ჩოჩიშვილი და მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე** გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ლიდერობა შეინარჩუნა

დღევანდელი ბოლო ტურიც და დასრულდება მოჭადრაკეთა სომხეთის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „სევანის ტბა-2011", რომელშიც 5 ქვეყნის უმაღლესი რეიტინგის მქონე 10 დიდოსტატი მონაწილეობს. ფავორიტად თავიდანვე გალელ **ბაადურ ჯობავას** (2713) მიიჩნევდნენ და ჯერჯერობით თავის სტატუსს ამართლებს. გუშინ იგი შავი ფიგურებით ზავენ ანდრიასიანს დაუზავდა და 5 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა, თუმცა რამდენად იქნება საკმარისი გასამარჯვებლად ქულათა ეს მარაგი, დღეს გამოჩნდება, რადგან მე-8 ტურის შემდეგ მას ნახევარ-ნახევარი ქულით სამი დიდოსტატი ჩამორჩება. ესენი არიან სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი), ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი) და ჩჟაო ძიანჩაო (ჩინეთი). ბელარუსმა მასპინძელი ტიგრან პეტროსიანი დაამარცხა, მელქუმიანი კი თანამემამულე ავეტიკ გრიგორიანს დაუზავდა. დანარჩენი ორი პარტიაც (არმან პაშიკიანი-ჩჟაო ძიანჩაო, ილდარ ხაირულინი-სამველ ტერ-საჰაკიანი) ყაიმით დამთავრდა.

ბოლო ტურის წინ: ჯობავა-5, მელქუმიანი, ძიანჩაო, ჟიგალკო-4,5-4,5, პაშიკიანი,-ხაირულინი-4-4, გრიგორიანი-3,5 ანდრიასიანი, ტერ-საჰაკიანი-3-3 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ძიანჩაო-ანდრიასიანი, ტერ-საჰაკიანი-პაშიკიანი, პეტროსიანი-ხაირულინი, მელქუმიანი-ჟიგალკო, ჯობავა-გრიგორიანი.

**ვაჟა დანელია**

# დღეს გამოვლინდება

პარდუბიცეს (ჩეხეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მთავარ ტურნირში საქართველოს სამი წარმომადგენელი ცდის ძალებს. გუშინ მე-8 ტურში **კონსტანტინე შანავამ** და **დავით არუთინიანმა** იყოჩაღეს. მათ, შესაბამისად, შავი ფიგურებით ბელარუსი კირილ სტუპაკი და იტალიელი ანდრეა სტელა დაამარცხეს. **დავით ჯოჯუა** თეთრებით სერგეი სერგიენკოს (რუსეთი) დაუზავდა.

შეჯიბრებას 6,5 ქულით ისლანდიელი დიდოსტატი ჰანეს სტეფანსონი ლიდერობდა. გუშინ იგი რუს ალექსანდრ დანინს შეუთანხმდა ყაიმზე და 7 ქულით ბოლო ტურის წინ კვლავაც ერთპიროვნულად მეწინავეობს. შანავას 6,5, არუთინიანს-6 და ჯობავას 5 ქულა აქვთ.

დღეს ბოლო ტურის პარტიები გაიმართება, რომლებიც გამარჯვებულსა და პრიზიორებს გამოავლენს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ძალოსნობა

# ფავორიტთა ზღვისპირული

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით ახალი წლიდან ნაყოფიერად ემზადება მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც საფრანგეთი უმასპინძლებს. ორი თვეა, ნაკრები ჩაქვში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. აჭარის სპორტის მესვეურთა თანადგომით მათ ვარჯიშისა და აქტიური დასვენებისთვის ყველა პირობა აქვთ.

ამ დღეებში ჩაქვის სასულიერო სასწავლებლის სპორტულ დარბაზში ძალოსანთა საქართველოს ლიგის მე-3 ტურის პაექრობები გაიმართა. შეჯიბრებაში 102 ათლეტი მონაწილეობდა. ეს ასპარეზობა ჩემპიონატისგან იმით განსხვავდება, რომ მასში გამარჯვებული და პრიზიორები არა წონითი კატეგორიების არამედ სინკლერის ტაბულით ვლინდება: ორჭიდის ჯამი სპორტსმენის წონის კოეფიციენტზე მრავლდება. უნდა ითქვას, რომ ფავორიტებმა თავიანთი უპირატესობა ლიგაზეც დაამტკიცეს.

წელი შემოდგომით უსრულდება და 140 კილოს იწონის, ატაცში საკუთარი მიღწევა 6, აკვრაში კი 8 კილოთი გააუმჯობესა. ჭაბუკებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ყველა წონა იოლად დაძლია, რაც მის პოტენციალზე მიუთითებს.

— საქართველოს ნაკრების ყველა წევრი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია, — გვითხრა ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ**, — ისინი კვირიდან კვირამდე აუმჯობესებენ პირად შედეგებს, რაც ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვანო გრიქუროვს აფიქრებინებს, რომ საფრანგეთის მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატზე ლონდონის 4 საგზურზეც შეიძლება ფიქრი. ქართველი ძალოსნები ჩაქვში კიდევ ორ თვეს დარჩებიან და იქვე განაგრძობენ წლის მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მზადებას, რაშიც მათ აქტიურად ეხმარება აჭარის სპორტის სამინისტრო, რისთვისაც მადლობის მეტი რა გვეთქმის...

აქვე ლიგის მე-3 ეტაპზე გამოვლენილი 6 საუკეთესო მწვრთნელის ვინაობასაც



შესანიშნავად იასპარეზა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **გია მაჭავარიანმა** (აჭარა, 105 კგ,), რომელმაც კარიერაში პირველად მოაგროვა ორჭიდში 406 კილოგრამი (183+223), თანაც აკვრაში პირადი მიღწევა 6 კილოთი გააუმჯობესა. მეორე ადგილი **ირაკლი თურმანიძემ** (აჭარა, მძიმე წონა) დაიკავა. კონტინენტის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს მედალოსნის (აკვრაში) შედეგია 405 კგ (185+220). საგულისხმოა, რომ ირაკლიმ დამატებით ცდაზე 190 კილოგრამი აიტაცა, მაგრამ საერთო ჩათვლაში ეს შედეგი არ შესულა.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 3. **დავით გოგია** (ზუგდიდი, 105 კგ)-377 (170+207), 4. **ალუდა მანაგაძე** (ქუთაისი, 105)-373 (168+205), 5. **ლაშა ტალახაძე** (საჩხერე, მძიმე წონა)-395 (180+215), 6. **გიორგი ლომთაძე** (ქუთაისი, 69 კგ)-302 (137+165).

ცნობილი ათლეტის – კობა ტალახაძის ვაჟმა ლაშა ტალახაძემ, რომელსაც 18

გაგაცნობთ. ესენი არიან: 1. **ავთანდილ გახოკიძე** (აფხაზეთი, 1830,4 ქულა), 2. **მალხაზ ლომთაძე** (ქუთაისი, 1808,5), 3. **ბეჟან ჭიჭინაძე** (ზუგდიდი, 1796,7), 4. **აბესალომ ბასილია** (ჩაქვი, 1794,2), 5. **ზურაბ ანთაური** (თბილისი, 1729,1), 6. **გია ცირეკიძე** (ქუთაისი, 1535,4).

წლეულს 21-28 აგვისტოს პოლონეთის ქალაქი ჩეხანოვი 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრებაზე ზურაბ ანთაურისა და ბეჟან ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით **რამინ შამილიშვილი** (აჭარა, 56), **შოთა მიშველიძე** (ქუთაისი, 62), **ჯაბა ჩიბურდანიძე** (აჭარა, 69), **ბაჩანა ქუხილავა** (ზუგდიდი, 69) და **თემურ პერტაია** (ზუგდიდი, 77) გაემგზავრებიან. ეს სპორტსმენები იანვრიდან დღემდე ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად ვარჯიშობენ, კარგ სპორტულ ფორმაში არიან და ძალოსნობის მესვეურები მათგან კონტინენტის პირველობაზე მაღალ შედეგებს ელიან.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ოთხი ხუთოსანი

პამპლონაში (ესპანეთი) მოჭადრაკეთა მე-5 საერთაშორისო ტურნირზე ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით ომარ ალმეიდა (კუბა) მეწინავეობდა. 11 დიდოსტატსა და 3 საერთაშორისო ოსტატს ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები ჰქონდა, მათ შორის გახლდათ თბილისელი **ლევან აროშიძე,** რომელიც გუშინ შავი ფიგურებით უკრაინელ იური სოლოდოვნიჩენკოს დაუზავდა. ლიდერთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ალექსანდრ დელჩევი (ბულგარეთი)-ალმეიდა 1:0, რეინალდო ორტისი (კუბა)-სერგეი ფედორჩუკი (უკრაინა) 0,5:0,5, რუის ხავიერ მორენო (ესპანეთი)-ზუნიგა ხულიო გრანდა (პერუ) 0:1, როდრიგეს რენიერ გასტელანოსი (ესპანეთი)-ბრანკო დამლიანოვიჩი (სერბეთი) 0:1, ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა)-ნიკოლაი ნინოვი (ბულგარეთი) 1:0, მიხაილო ოლექსიენკო (უკრაინა)-დრაგან პაუნოვიჩი (სერბეთი) 0,5:0,5, როი რეინალდო (ესპანეთი)-იბრაგიმ ხამრაკულოვი (ესპანეთი) 0,5:0,5.

6 ტურის შემდეგ 5-5 ქულით დამლიანოვიჩი, გრანდა, დელჩევი და იტურისაგა მეწინავეობენ. აროშიძეს 4,5 ქულა აქვს და მე-7 ტურში ოლექსიენკოს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**



1994 წელი. ლილეჰამერი, ნორვეგია. ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი

თარიღი 30 ივლისი - 5 აგვისტო

**30. 07. 1914 წ.** დაიბადა **მაიკლ მორის კილანინი** - სოკ-ის პრეზიდენტი (1972-1980).

**30. 07. 1932 წ.** ლოს-ანჯელესში (აშშ) გაიხსნა ზაფხულის X ოლიმპიური თამაშები.

**31. 07. 1929 წ.** დაიბადა **ხოსე ემილიო სანტამარია**-ფეხბურთი (ურუგვაი).

**01. 08. 1936 წ.** ბერლინში გაიხსნა ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშები.

**01. 08. 1900 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ბორუსია" (გერმანია).

**01. 08. 1976 წ.** მონრეალში დაიხურა ზაფხულის XVIII ოლიმპიური თამაშები.

**02. 08 1906 წ.** დაარსდა პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი „პორტუ".

**03. 08. 1952 წ.** ჰელსინკში დამთავრდა ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები.

**04. 08. 1949 წ.** ამერიკის ორი საკალათბურთო ლიგის NBL-ისა და NBAA-ს შერწყმის შედეგად შეიქმნა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (NBA)

**05. 08. 1954 წ.** დაარსდა კრივში „დიდების დარბაზი".

**05. 08. 1921 წ.** რადიოთი პირველად გადაიცა ბეისბოლის შეხვედრის რეპორტაჟი.

ვიქტორინა

**ექღვნება კოპა ამერიკას წლევანდელ გათამაშებას**

**1. დაასახელეთ მორაგბე, რომელიც იმავდროულად პროფესიული კრივითაა გატაცებული და რინგზე ოთხიდან ოთხი ბრძოლაც აქვს მოგებული**

ა — სანუ მანოა (აშშ)
ბ — სონი ბილი ვილიამსი (ახალი ზელანდია)
გ — დევიდ ვილსონი (ინგლისი)

**2. რომელი ქვეყანა მონაწილეობს მიწვევით „კოპა ამერიკის" საფეხბურთო ტურნირზე?**

ა — ბოლივია
ბ — ეკვადორი
გ — მექსიკა

**3. ვინ იყო ჭადრაკში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ვაჟთა შორის?**

ა — ანატოლი კარპოვი
ბ — გარი კასპაროვი
გ — ბობი ფიშერი

**4. ვინ იყო პროფესიულ კრივში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი?**

ა — ჯონ ლ. სალივანი (აშშ)
ბ — ჯეიმს ხ. კორბეტი (აშშ)
გ — ბობ ფიტცსიმონსი (დ. ბრიტანეთი)

**5. ვინ არის თანამედროვეობის ოლიმპიური თამაშების (1896) პირველი ჩემპიონი?**

ა — რობერტ გარეტი (აშშ, ბირთვი)
ბ — ედვინ ფლეკი (ავსტრალია, 800 მ)
გ — სპირიდონ ლუისი (საბერძნეთი, მარათონი)

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

ნაკლებად ცნობილი ასპარეზობები

# მსოფლიოს მასტერსის თამაშები

Western & Southern Financial Group®
MASTERS & WOMEN'S OPEN

ყველაზე მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კომპლექსური შეჯიბრება, რომელსაც ატარებს მასტერსის თამაშების საერთაშორისო ასოციაცია (IMGA). პირველი თამაშები გაიმართა 1985 წელს ტორონტოში. ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ. ასპარეზობაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, საკვალიფიკაციო შეზღუდვები დაწესებული არ არის. ლიმიტირებულია მხოლოდ მონაწილეთა ასაკი — 25-დან 40 წლამდე სხვადასხვა სახეობისთვის. მაგ. წყალში მხტომელის ასაკი 25 წელი მაინც უნდა იყოს, მოფარიკავის ან მეგოლფის — 40. სპორტსმენები შეჯიბრებაში მონაწილეობენ ინდივიდუალურად ან გუნდურად, მაგრამ არა ეროვნული ნიშნით. მონაწილენი თვითონ იხდიან ტრანსპორტისა და სხვა ხარჯებს. 1985 წელს მასტერსის პირველ თამაშებში მსოფლიოს 61 ქვეყნის 8305 სპორტსმენი ჩაება. ასპარეზობა გაიმართა 22 სახეობაში. 2002 წელს მელბურნში (ავსტრალია) სპორტსმენთა რიცხვმა 24 886-ს მიაღწია, რაც მონაწილეთა რაოდენობის მხრივ მსოფლიო რეკორდია — 98 ქვეყნის ათლეტები ერთმანეთს სპორტის 26 სახეობაში ეჯიბრებოდნენ. შთამბეჭდავია მონაწილეთა ასაკიც — 1998 წლის თამაშებზე პორტლენდში (აშშ) სარბიელზე გამოვიდნენ 103 წლის ბენ ლევინსონი (გოლფი) და 97 წლის ვიოლა კრაჰი (წყალში ხტომა).

პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** ციგურებით სასრიალო მოედანი გაიხსნა ლონდონში 1875 წლის 2 აგვისტოს

■ ■ ■

**პირველმა** წყალში მხტომელთაგან ამერიკელმა **გრეგ ლუგანისმა** შეძლო 11 ცდაში 700-ზე მეტი (752,67) ქულის დაგროვება.

■ ■ ■

**პირველად** ფეხბურთელთა სატრანსფერო რეკორდი დაფიქსირდა ინგლისში 1938 წლის 4 აგვისტოს. ამ დღეს „არსენალმა" **ბრინ ჯოუნსი** „ვულვერჰემპტონ უონდერერსისგან" 14 ათას გირვანქად შეიძინა.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ჭიდაობაში ილეთი, იგივე ... ; 6. შეფასება ძიუდოში; 7. დიდი შეჯიბრება იალქნიანი ნავებით; 9. ბატუტი, ... გოლოვინა; 10. სალვადორის საფეხბურთო კლუბი; 11. ლონდონის "ჩელსის" კაპიტანი; 14. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი კუნძულ კორსიკიდან; 15. იხ. სურათი: "რეალ მადრიდის" ლეგენდა; 17. წარსულში ცნობილი ხორვატი ფეხბურთელი დავორ ...; 18. გამოჩენილი გერმანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 19. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი; 20. იგივეა, რაც სარმა (კუთხ.); 24. ზიდანის მეტსახელი; 25. მიუნხენის საფეხბურთო კლუბი; 27. რაგბის მსოფლიო ფედერაცია (შემოკლებით); 30. ესპანეთი, ჩოგბურთი, რაფაელ ... ; 31. ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი; 32. მუქარა ჭადრაკში.

**შვეულად**: 1. "ჩელსის" ფრანგი თავდამსხმელი; 2. ჭადრაკი, ... ძაგნიძე; 3. საუკეთესო მეკარე არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში; 4. თოვლის ჯიქის მეორე სახელი; 5. ვეტერანი ფალავანი ... მუსოიანი; 6. ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ავსტრალიური ფეხბურთის ისტორიაში; 8. ფეხბურთელ შევჩენკოს სახელი; 12. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი; 13. ლეგენდარული სოხუმელი მძლეოსანი; 14. შეჯიბრება სუმოში; 16. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 19. "ლივერპულის" კაპიტანი ... ჯერარდი; 21. ვეტერანი ქართველი ხელბურთელი ამბერკი ... ; 23. სპორტის სახეობა; 23. ოლიმპიური სისტემით სპორტული შეჯიბრების ბოლო შეხვედრა; 26. "მილანის" მეკარე; 28. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე; 29. ლევან კობიაშვილის მეტსახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევრობასკეტი და საქართველო დარჩა 32 დღე




2006 წელი.
ავსტრია-საქართველო 63:68

### საქართველო-ავსტრია. ისტორია

**ევრო 1999. საკვალიფიკაციო**

25.05.1997

**საქართველო-ავსტრია დ.დ. 67:60**

34:31, 22:25, 11:4

საქართველო: თორთლაძე (38წთ, 3ქ, 3მ, 4პ, 1ჩ), ტურაშვილი (27წთ, 11ქ, 3მ), სტეფანია (5წთ, 2ქ, 1მ), ბეჟანიშვილი (26წთ, 10ქ, 10მ, 1პ, 1ჩ), ხოშტარია (15წთ, 2ქ, 2პ), ნაცვლიშვილი (45წთ, 22ქ, 15მ, 1ჩ), ბერძენიშვილი (33წთ, 9ქ, 9მ), სანაძე (9წთ, 3ქ), ჩხეიძე (19წთ, 5ქ)

**ევრო 2009. B დივიზიონი**

06.09.2006

**ავსტრია-საქართველო 63:68**

19:13, 22:13, 15:24, 7:18

საქართველო: ელისი (37წთ, 20ქ, 5მ, 5პ, 1ჩ, 1დ), მ. მარკოიშვილი (27წთ, 9ქ, 2მ, 1ჩ), ა. ბოისა (10წთ, 3მ), ვ. ბოისა (33წთ, 5ქ, 2მ), ფაჩულია (35წთ, 24ქ, 7მ, 2ჩ, 2დ), გამყრელიძე (19წთ, 2ქ, 4პ, 1მ), ცინცაძე (7წთ), ცქიტიშვილი (11წთ, 3ქ, 2მ, 1ჩ), სანიკიძე (21წთ, 5ქ, 6მ), ნაცვლიშვილი (1წთ).

25.08.2007

**საქართველო-ავსტრია 85:74**

21:22, 21:15, 24:19, 19:18

საქართველო: ცინცაძე (33წთ, 5მ, 2პ, 3ჩ), ელისი (36წთ, 14ქ, 3პ, 1ჩ), მ. მარკოიშვილი (27წთ, 22ქ, 3მ, 1პ, 1ჩ), სანიკიძე (32წთ, 14ქ, 9მ, 3პ, 1ჩ, 1დ), ფაჩულია (38წთ, 25ქ, 5მ, 3პ, 1დ), გამყრელიძე (5წთ), ნაცვლიშვილი (23წთ, 5ქ, 7მ, 1პ, 1ჩ), ტულუში (6წთ, 5ქ, 2მ, 1ჩ).

**ამხანაგური მატჩები**

05.08.2008

**ავსტრია-საქართველო 76:74**

25:20, 18:16, 15:24, 18:14

საქართველო: ცინცაძე (24წთ, 5ქ, 3პ), ა. ბოისა (18წთ, 2ქ), სანიკიძე (13ქ, 10მ), ცქიტიშვილი (25წთ, 20ქ, 9მ), ფაჩულია (30წთ, 9ქ, 3პ); გამყრელიძე (20წთ, 9ქ), ვ. ბოისა (22წთ, 9ქ), შერმადინი (3წთ, 2ქ), ტულუში (14წთ, 5ქ), ტომარაძე (5წთ), შენგელია (4წთ)

08.08.2008

**ავსტრია-საქართველო 77:74**

21:17, 25:20, 13:12, 18:25

საქართველო: ცინცაძე (27წთ, 9ქ, 3პ, 3მ), ა. ბოისა (12წთ, 3ქ, 4მ), სანიკიძე (23წთ, 1ქ, 9მ), ცქიტიშვილი (26წთ, 18ქ, 8მ), ფაჩულია (25წთ, 20ქ, 5მ); გამყრელიძე (30წთ, 7ქ, 5პ, 4მ), ვ. ბოისა (23წთ, 5ქ, 4მ, 3პ), შერმადინი (5წთ, 2ქ), ტულუში (13წთ, 3ქ), შენგელია (16წთ, 6ქ, 4მ)

7.08.2009

**ავსტრია-საქართველო 73:77**

21:18, 19:17, 13:17, 20:25

საქართველო: გამყრელიძე (11წთ), ვ. ბოისა (34წთ, 15ქ), ცინცაძე (35წთ, 17ქ, 4პ, 3ჩ), შერმადინი (35წთ, 14ქ), ტულუში (5წთ), სანიკიძე (39წთ, 11ქ, 12მ), მეტრეველი (11წთ, 4ქ), ელისი (30წთ, 16ქ, 6პ)

8.08.2009

**ავსტრია-საქართველო 71:75**

18:22, 22:18, 17:18, 14:17

საქართველო: გამყრელიძე (11 წთ), ვ. ბოისა (31 წთ, 12ქ, 6მ), ცინცაძე (29 წთ, 6ქ, 8პ, 3ჩ), შერმადინი (34 წთ, 18ქ, 7მ), ტულუში (10 წთ, 3ქ), სანიკიძე (31 წთ, 11ქ, 6მ), მეტრეველი (8 წთ, 2ქ), ელისი (32 წთ, 17ქ), ა. ბოისა (7 წთ, 4ქ), შენგელია (6 წთ, 2ქ)

# უგრინოდ...

საქართველოს ეროვნული გუნდი დღეს 2011 წლის პირველ მატჩს ჩაატარებს - ავსტრიის ქალაქ შტაინბურნში მასპინძელთა ნაკრებს დაუპირისპირდება. ბოლო წლებია, ქართველები შეკრებებს ავსტრიაში იწყებენ და იქაურ ნაკრებსაც ამხანაგურად რეგულარულად ეთამაშებიან. შესაბამისად, ისტორიაში ყველაზე მეტი შეხვედრა სწორედ ავსტრიელებთან მოგვიგროვდა - ხვალ ამ გუნდს მერვედ გავეჯიბრებით.

- *საკმაოდ დატვირთული ვარჯიშებია, თუმცა ეს არცაა გასაკვირი, ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ აგვისტოს ბოლოსთვის სათანადო ფორმაში ვიყოთ,* - გვითხრა გუშინ **ლაშა ფარლალავამ**, რომელიც ნაკრების დებიუტანტია.

ეროვნულ გუნდში მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** 18 კალათბურთელი გამოიძახა, თუმცა შტაინბურნში 17 კაცი ვარჯიშობს. შეკრებაზე არ გამოჩენილა **ტორინ გრინი**, რომელსაც ფეხის ცერი აქვს დაზიანებული და რეაბილიტაციას გადის. მან სოციალურ ქსელში დაწერა: „ევრობასკეტზე, ალბათ ვერ ვითამაშებ, რადგან ფეხზე აღდგენითი პროცესი ჯერაც არ დასრულებულა".

ასე და ამგვარად, იგორ კოკოშკოვმა **მარკიზ ჰეინსის** დამატებით სწორი ნაბიჯი გადადგა. საინტერესოა, რას ფიქრობენ საქართველოს ნაკრების კალათბურთელები ამერიკელ ახალწვეულზე.

- *მარკიზი დადებითი პიროვნებაა, ურთიერთობაში იოლად შემოვიდა. რაც მთავარია, ძლიერი მოთამაშე ჩანს,* - თქვა **მიხეილ ბერიშვილმა**.

დაველოდოთ დღევანდელ შეხვედრას, რომლის შედეგი ნაკრების მწვრთნელებისთვის დიდად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, რადგან გუნდი ახალი შეკრებილია და ჯერ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე მუშაობს. ლოგიკურად, ავსტრიელები უკეთეს ფორმაში უნდა იყვნენ, რადგან მათ B დივიზიონის მატჩები 18 აგვისტოს ეწყებათ და მზადებას ქართველებზე ადრე შეუდგნენ. მათ უნგრეთთან ამხანაგურადაც ითამაშეს, 58:71 დამარცხდნენ.

### მზადების გეგმა

24 ივლისი. 4 აგვისტო. **საწვრთნელი შეკრება შტაინბრუნში, ავსტრია.**
30 და 31 ივლისი. **საერთაშორისო ამხანაგური მატჩები: ავსტრია-საქართველო.**
5-7 აგვისტო. **საერთაშორისო ტურნირი ტალინში, ესტონეთი. მონაწილეობენ: საქართველო, ესტონეთი, შვედეთი, NCAA- ს კლუბი.**
8-11 აგვისტო. **საწვრთნელი შეკრება შტაინბრუნში, ავსტრია.**
12-14 აგვისტო. **საერთაშორისო ტურნირი ალმერეში, ჰოლანდია. მონაწილეობენ: საქართველო, ჰოლანდია, ისრაელი, NCAA-ს კლუბი.**
15-20 აგვისტო. **საწვრთნელი შეკრება თბილისში.**
16 აგვისტო. **საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: საქართველო-ისრაელი, თბილისის სპორტის სასახლე.**
22 აგვისტო. **საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: ლატვია-საქართველო, რიგა, ლატვია.**
24 აგვისტო. **საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ლატვია-საქართველო, შაულიაი, ლიტვა.**
27 აგვისტო. **საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ლიტვა-საქართველო, ვილნიუსი, ლიტვა.**
28-30 აგვისტო. **საწვრთნელი შეკრება კლაიპედაში, ლიტვა.**

### შემადგენლობა

| მოთამაშე | ამპლუა | დაბ. თარ. | სიმ. | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | უკანახაზელი | 07.02.1986 | 192 | როკი, ესტონეთი* |
| ტორინ გრინი | უკანახაზელი | 28.11.1985 | 183 | გრან კანარია, ესპანეთი |
| ლაშა გამყრელიძე | უკანახაზელი | 04.02.986 | 183 | გისენი, გერმანია |
| კოტე ტულუში | უკანახაზელი | 03.06.1984 | 190 | არმია |
| ლაშა ფარლალავა | უკანახაზელი | 07.02.1987 | 192 | სოხუმი |
| მარკიზ ჰეინესი | უკანახაზელი | 19.12.1986 | 190 | გრან კანარია, ესპანეთი |
| ანატოლი ბოისა | უკანახაზელი | 09.09.1983 | 192 | არმია |
| მანუჩარ მარკოიშვილი | უკანახაზელი | 17.11.1986 | 196 | კანტუ, იტალია |
| ლევან ფაცაცია | ფორვარდი | 24.09.1988 | 198 | სოხუმი |
| ვიქტორ სანიკიძე | ფორვარდი | 01.04.1986 | 203 | ვირტუსი, იტალია |
| თორნიკე შენგელია | ფორვარდი | 05.10.1991 | 207 | სპერსტერი, ბელგია |
| მიხეილ ბერიშვილი | ფორვარდი | 12.04.1987 | 203 | სოხუმი |
| ვლადიმერ ბოისა | ფორვარდი | 04.07.1981 | 209 | ოლიმპია, სლოვენია |
| ნიკა ცქიტიშვილი | ფორვარდი | 14.04.1983 | 212 | ლაგუნ არო, ესპანეთი |
| ნიკა მეტრეველი | ფორვარდი | 14.01.1991 | 211 | რიმინი, იტალია |
| ზაზა ფაჩულია | ცენტრი | 10.02.1984 | 210 | ატლანტა, აშშ |
| გიორგი შერმადინი | ცენტრი | 02.04.1989 | 216 | ოლიმპია, სლოვენია |
| გიორგი შარაბიძე | ცენტრი | 27.04.1990 | 210 | არმია |

** - მითითებულია გუნდი, რომელშიც კალათბურთელი გასულ სეზონში თამაშობდა.*

**ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან**

# უსტიაშვილს ჰეინსის ეიმედება

**დავით უსტიაშვილმა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად B დივიზიონის მატჩები დაასრულა და ეროვნულს შეუერთდა. გუშინ კალათბურთის ფედერაციის საიტზე მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა.**

- შეკრება მყუდრო გარემოში მიმდინარეობს. ნაკრებს ყველა პირობა აქვს, რათა სათანადოდ მოემზადოს. თბილისურმა შეკრებამ, სადაც კალათბურთელები ფიზმომზადებით იყვნენ დაკავებულნი, როგორც ჩანს, ნაყოფიერად ჩაიარა.

**- ისინი, რომლებიც თბილისში არ იყვნენ?**

- ყველა კალათბურთელის ფიზიკური ფორმა დამაკმაყოფილებელია. რა თქმა უნდა, ამ მხრივ სამუშაო გვაქვს, მაგრამ საპრობლემო არაფერია. ეს შეკრებაც ხომ იმისთვისაა, რომ მოთამაშეთა კონდიციები სრულყოფაში მოვიყვანოთ.

**- რა პერიოდულობით და რა კომპონენტებში ვარჯიშობთ?**

- დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და ძირითადად კომბინაციების დამუშავებით ვართ დაკავებული. ასევე სროლებსა და სხვადასხვა სათამაშო კომპონენტებს ვხვეწთ. ძირითადად ბურთთან გვაქვს კონტაქტი, რადგან ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვე რჩება.

**- პირველი სპარინგ-მატჩი შაბათს გაქვთ...**

- დიახ, ავსტრიასთან შეხვედრა აქ, შტაინბრუნის ბაზაზე გაიმართება. 31 ივლისს კი უკვე ქალაქ ბადენში ჩავატარებთ ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩს. შედეგს ნამდვილად არ ვაქცევთ ყურადღებას. მთავარია, კალათბურთელები შეეწყონ ერთმანეთს და ის კომბინაციები კარგად გაათამაშონ, რაზეც ვმუშაობთ.

**- მანუჩარ მარკოიშვილს თბილისური შეკრება ტრავმის გამო არ გაუვლია. ახლა როგორ მდგომარეობაშია?**

- მანუჩარი უკვე შეუდგა ვარჯიშს და დღეიდან სრულად დაიტვირთება. მას დასვენების საშუალება მივეცით, რადგან გადატვირთული სეზონის შემდეგ ფეხი დაესვენებინა.

**- მარკიზ ჰეინსი როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?**

- იგი მრავალმხრივი კალათბურთელია, ერთნაირი წარმატებით შეუძლია როგორც გამთამაშებლად, ისე მსროლელად თამაში. არც სროლის სიზუსტე დაეწუნება, მოედანს მშვენივრად ხედავს, არც პასს აგვიანებს და სისწრაფეც მშვენიერი აქვს. მარკიზი ნაკრებს დიდ დახმარებას გაუწევს. ჰეინსს ამხანაგური მატჩები გუნდთან შეწყობაში ძალიან დაეხმარება.

**U16**

# ლუქსემბურგი გაგვიძალიანდა

**საქართველო-ლუქსემბურგი 70:67**

13:23, 19:12, 19:21, 19:11

საქართველო: **ბოლქვაძე (19 წთ, 5ქ, 6მ), ქიტოშვილი (3ქ), ამირხანაშვილი (6 წთ), ლილუაშვილი (12 წთ, 5ქ), ტომარაძე (16 წთ, 4ქ), დვალი (9 წთ, 1ქ), აბულაძე (37 წთ, 21ქ, 4პ, 3ჩ), ჯაყელი (17 წთ, 6მ), ცქიტიშვილი (18 წთ, 6ქ, 7მ), გამრეკლიძე (20 წთ, 3ქ), დარახველიძე (37 წთ, 23ქ, 12მ), პულუზაშვილი (5 წთ, 2ქ)**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს კადეტთა ნაკრებიც ჩაერთო. გუშინ **გია კაზანჯიანის** შეგირდები ლუქსემბურგს დაუპირისპირდნენ და 70:67 დაამარცხეს. შეიძლება, ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლებთან თანაბრად თამაში ზოგისთვის გასკვირი იყოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება: ამა თუ იმ ტურნირზე პირველივე მატჩში საკუთარი შესაძლებლობების ჩვენება რთულია და მეორე - ლუქსემბურგს ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ ჰყავს, ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში რუმინელების ძლევითაც დაამტკიცა - 78:73. რადგან ჯგუფი ხუთგუნდიანია, ყველა ნაკრები თითო დღეს ისვენებს - ქართველმა კადეტებმა პირველი დღე გამოტოვეს.

ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩის მეოთხე პერიოდი **ეჰმანმა** ორქულიანით გახსნა (58:51), თუმცა **აბულაძის** ხუთი და **დარახველიძის** 3 ქულის წყალობით ქართველები 8:0 გაიქცნენ და ბოლო წამებამდე თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. სირენამდე 56 წამით ადრე **ელჩეროტმა** ანგარიში გაათანაბრა - 67:67. თუმცა, გადამწყვეტი სიტყვა 14 წამით ადრე დარახველიძემ თქვა, კვლავ სამიანი ჩააგდო და ქართველებს პირველი გამარჯვება მოუტანა.

დღეს ჩვენი გუნდის მეტოქე ინგლისი იქნება. მატჩი 16 საათზე დაიწყება.

**U18**

# ბურჯანაძე და ბელგიელები

**საქართველო-ბელგია 70:58**

17:12, 11:16, 23:23, 19:7

საქართველო: **ჩოჩია (12 წთ, 2ქ, 4პ, 3ჩ), რამიშვილი (12 წთ, 2ქ), ბურჯანაძე (33 წთ, 30ქ, 10მ, 3ჩ), კვანტალიანი (17 ქთ, 5ქ), მიქელაძე (26 წთ, 6ქ), ლობჟანიძე (25 წთ, 6ქ, 3პ), ცირეკიძე (31 წთ, 10ქ, 6მ, 3ჩ), როგავა (16 წთ), გრძელიძე (10 წთ, 2ქ).**

**ბექა ბურჯანაძემ** წლევანდელ შესარჩევში საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 33 წუთში 30 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. მისი დამაჯერებელი გარჯა ბელგიელების ძლევის საწინდარი გამოდგა - ქართველებმა განსაკუთრებით კარგად მეოთხე პერიოდი ჩაატარეს, 19:7 მოიგეს, საბოლოოდ კი 70:58 იმარჯვეს.

G ჯგუფში **მიხეილ ბერუაშვილის** შეგირდებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს და მე-15 ადგილისთვის მატჩში ნორვეგიას შეხვდებიან. შეხვედრა დღეს, 20:15 საათზე დაიწყება.

**სუპერლიგა. შსს**

# შსს გადახალისდა

გადაწყდა, შსს სუპერლიგაში კვლავაც ითამაშებს. წინა სეზონთან შედარებით გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისდება, თუმცა მთავარი არ შეცვლილა: მწვრთნელად კვლავ **დავით უსტიაშვილი** იმუშავებს.

- *შსს კურსს არ ღალატობს, კვლავაც ვეცდებით ქართული კალათბურთის განვითარების საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ახალ სეზონში შედარებით ახალგაზრდა, თუმცა საინტერესო შემადგენლობა გვეყოლება,* - გვითხრა გუნდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ლევან მიქაბერიძემ**.

გასული სეზონის შემდეგ შსს დატოვეს **გიორგი მარკოიშვილმა, ირაკლი ბერიშვილმა, კოკა ტომარაძემ, სოსო შერმადინმა** და **გიგი ბარბაქაძემ.**

ლევან მიქაბერიძემ აღნიშნა: კლუბი ყოფილ მოთამაშეებთან კვლავ ინარჩუნებს კარგ ურთიერთობას და გაწეული სამსახურისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ. როგორც წესი, დანაკლისს შევსება სჭირდება. ჯერჯერობით შემადგენლობა სრულად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ რამდენიმე გვარი უკვე ცნობილია: გასული სეზონის შემდეგ შსს-ში დარჩნენ **ბექა წივწივაძე, ჟულივეტ ტუჯანი, გიორგი ნიკოლაძე, ლექსო ლაფანაშვილი** და **დავით იმნაძე.**

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიათები

# ვინ დაეწევა და გადაასწრებს ლომუს


ალესანა ტუილაგი

ლეგენდარულ ახალზელანდიელ მორაგბეს **ჯონა ლომუს** ზუსტად შვიდი წლის წინათ, 2004 წლის 29 ივლისს მძიმე ოპერაციის გადატანამ მოუწია. მას თირკმელი გადაუნერგეს. ლომუ, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 63 კეპი აქვს მოხვეჭილი, დღემდე რჩება მსოფლიო რაგბიში ერთ-ერთ გამორჩეულად პოპულარულ და პატივსაცემ ფიგურად. ყველაზე მეტად რაგბის ქომაგებსა და სპეციალისტებს 1995 წლის მსოფლიოს თასზე ინგლისის ნაკრებთან მატჩში მის მიერ გატანილი ლელო ახსოვთ, როცა ლომუმ გზად რამდენიმე ინგლისელი გადათელა.

ოპერაციის შემდეგ ლომუმ რაგბიში დაბრუნება სცადა. 2006 წელს ის ინგლისში გამოჩნდა და 2007 წლის მსოფლიოს თასისთვის ემზადებოდა, თუმცა ჯანმრთელობამ მაინც ხელი შეუშალა და საფრანგეთში ნაკრებთან ერთად გამგზავრება ვერ შეძლო. ამჯერად კარს 2011 წლის მსოფლიო თასია მომდგარი და გვინდა მისებრ გოლიათისებური მოთამაშეები გავიხსენოთ, ვისაც შესაძლოა ახალ ზელანდიაში, მსოფლიოს უდიდეს სარაგბო ფორუმზე თამაშმა მოუწიოს.

## მეთ ბანაჰანი (ინგლისი)

ის ყოფილი მეორეხაზელია, რომელიც ამჟამად გარემარბად თამაშობს და, ადვილი შესაძლებელია, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** ახალ ზელანდიაში წამსვლელთა 30-კაციან განაცხადში შეიყვანოს.

მიუხედავად იმისა, რომ ბანაჰანი მაღალია, ის საკმაოდ სწრაფი, მობილური და შეტევისას უაღრესად სახიფათოა. კარიერის დასაწყისში, როცა ის ჯერ კიდევ მეორეხაზელი იყო, ვინც მასში გარემარბის კარგი მონაცემები დაინახა **ბრაიან ეშტონი** იყო. ისინი „ნორსჰემთონის“ შემადგენლობაში ფლანგებიდან შიშის ზარს სცემდნენ მეტოქეებს.

ბანაჰანის დებიუტი ინგლისის ნაკრებში 2009 წლის ივნისის ტესტებზე არგენტინის ნაკრებთან მატჩში შედგა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე წარმატებით გრძელდება.

## ნემანი ნადოლო (ფიჯი)

196 სანტიმეტრი სიმაღლისა და 123 კილოგრამი წონის **ნემანი ნადოლო** კუნძულელებისთვის დამახასიათებელი უცნაურობებით გამოირჩევა. მან წლეულს ინგლისური „ექსეტერის“ შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი მატჩი ითამაშა, თუმცა მაინც დიდი გავლენა მოახდინა როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა.

ინგლისიდან ავსტრალიაში დაბრუნებულ ნადოლოს მანქანის მართვა 18 თვით აუკრძალეს, რადგან საჭესთან ნასვამი იჯდა. მსგავსი ინციდენტი მას ინგლისშიც შეემთხვა, რისთვისაც 5 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.

ნადალოს იმედი აქვს, რომ ახალ ზელანდიაში ფიჯის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს. რატომაც არა, ახლახან „ოლ ბელქსთან“ გამართულ ტესტ მატჩში ის შესანიშნავად გამოიყურებოდა.

## ნაპოლიონი ნალაგა (ფიჯი)

„მფრინავ ფიჯელს“ ყოველთვის მოიხსენიებენ როგორც მომავალ ლომუს. ფრანგულ კლუბში, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონში“ მას ფანტასტიკური შედეგი აქვს ნაჩვენები. ნალაგამ 90 მატჩში 61 ლელო გაიტანა. 2010 წელს კი ის საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს.

ნალაგასთვის წლევანდელი სეზონი უაღრესად ცუდად წარიმართა, მის ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული ამბების გამო. საფრანგეთიდან შინ დაბრუნებულმა ნაპოლიონიმ ცოლი მოიყვანა, რომელიც მალე ავტოკატასტროფაში მოყვა. „მფრინავ ფიჯელს“ ღრმა დეპრესია დაეუფლა. ჩაგდებული სეზონის მიუხედავად, ნალაგა ფიჯის ნაკრების მწვრთნელმა მაინც შეიყვანა გუნდის გაფართოებულ, 35-კაციან შემადგენლობაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის მშვენება იქნება.

## ალესანა ტუილაგი (სამოა)

ის ერთ-ერთია ექვსი სამოელი მორაგბე ძმიდან. **ტუილაგების** გვარი მსოფლიო რაგბიში ოქროს ასოებით იწერება და ეს უწინარესად ალესანას დამსახურებაა. ის არის მონსტრი, საშინელება, ქარიშხალი და ყველანაირი ტაიფუნი, რაც კი ბუნებაში არსებობს. ტუილაგი გადაუჭრელ პრობლემებს უქმნის მეტოქეებს, რაც მათში უძილო ღამეებს იწვევს.

ახლახან ალესანამ შესანიშნავად ითამაშა ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში, რომელშიც სამოელებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. „ლესტერ ტაიგერსის“ ქომაგები თავს ბედნიერად უნდა გრძნობდნენ, რადგან ის მომავალ სეზონს თავის ძმასთან, **მანუსთან** ერთად, სწორედ ამ გუნდში გაატარებს.

## რუპენი კაუკაუ (ფიჯი)

ის მსოფლიოს რაგბის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პერსონაჟია. **კაუკაუ** სწორედ ის მორაგბეა, რომელიც ჯონა ლომუს თამაშის დეტალების ჩვენებას ახერხებდა. თუმცა მისი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, ისევ თვითონ არის. კაუკაუ დისციპლინას არად დაგიდევთ და მუდამ ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებს.

რუპენი საერთაშორისო ასპარეზზე პირველად ფიჯის შვიდკაცა რაგბის ნაკრებში გამოჩნდა. მერე ზე რაგბის გათამაშებაში „ბლუზის“ შემადგენლობაში 13 მატჩში 15 ლელო გაიტანა. 2003 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ კი ფრანგულ „აჟენში“ გადაბარგდა და 108 თამაშში 65 ლელო მიითვალა. მათი უმრავლესობა სარაგბო შედევრი იყო.

ყოველივე ამის მიუხედავად ბევრი ამტკიცებს, რომ კაუკაუს არასდროს ესმოდა რა დიდი პოტენციალის მატარებელი მორაგბეა. მას თავისუფლად შეეძლო ყოფილიყო ჯონა ლომუზე არანაკლებ პოპულარული, მაგრამ მრავალი პრობლემის გამო ეს ვერ შეძლო. ჯერ ფიჯის რაგბის მამებთან სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მერე 2006 წელს „აჟენში“ თამაშისას ტროპიკული ვირუსი შეეყარა და ავადმყოფობის გამო კიდევ ექვსი თვე გაუცდა. 2008 წელს კი დოპინგ კონტროლისას მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინეს და სამთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რის შემდეგაც მან „აჟენი“ დატოვა.

მისი კარიერა არც ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზში“ აეწყო, საიდანაც ისევ „აჟენში“ გადავიდა და 2010 წელს გუნდს ელიტურ, პირველ დივიზიონში დაბრუნებაში მიეხმარა. კაუკაუ არც ამის შემდეგ დაოკდა და რაგბის დროებით ისევ ჩამოშორდა. წლეულს ზამთარში ის ფრანგული რაგბის გრანდმა, „ტულუზმა“ აიყვანა, როგორც სამედიცინო ჯოკერი და არც შემცდარა. ტულუზელთა გაჩემპიონებაში რუპენი კაუკაუმ ლომის წილი დაიდო.


მეთ ბანაჰანი

მეტოქეები



# რიჩი გრეი შეუპოვრად იბრძვის

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე შოტლანდიის ეროვნული გუნდი არავისზე ნაკლები მონდომებით ემზადება. „სკოტების“ თავკაცის **ენდი რობინსონის** განკარგულებაში 40 მორაგბეა. შედეგად გუნდში საკმაოდ მწვავე კონკურენციაა.

„ნარშავების“ 21 წლის მეორეხაზელი **რიჩი გრეი**, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მაინც შეუპოვრად იბრძვის ახალ ზელანდიაში მოსახვედრად. ეროვნულ გუნდში მან პირველად წლეულს ექვსი ერის გათამაშებაში იასპარეზა და რობინსონის მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა რიჩის გარანტირებული არაფერი აქვს.

*„მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი მოწყალე თვალით მიყურებს, თავს მშვიდად არ ვგრძნობ. გუნდში საკმაოდ მწვავე კონკურენციაა და თითოეული მორაგბე ადგილის დამკვიდრებისთვის თავდაუზოგავად იბრძვის. გარანტირებული არავის არაფერი აქვს. ამიტომ ძალიან დიდი დრო ძალოსნობის დარბაზში ვარჯიშს დავუთმე, რათა ფიზიკურად საუკეთესო მზადყოფნაში ვიყო,“* - თქვა რიჩი გრეიმ.

**შოტლანდიის ნაკრები**

შერკინება: **ჯონ ბარკლი, ჯონ ბიტი, კელი ბრაუნი, ჯოფ გროსი, დევიდ დენტონი, ალასდაირ დიკინსონი, როს ფორდი, რაიან გრანტი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ჯიმ ჰამილტონი, რობ ჰარლი, ნათან ჰინესი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მორეი ლოუ, ევან მურეი, როს რენი, ალასდაირ სტროკოში, ფერგიუს თომსონი, რიჩი ვერნონი.**

უკანა ხაზი: **ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, კრის კასიტერი, ჯეკ კუტბერტი, საიმონ დენიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, გრეგ ლაიდლოუ, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, რორი ლაუსონი, გრემ მორისნი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, ჰუგო საუთვილი, ნიკი ვოლკერი.**

# ინგლისს ლოუ და სტრიტლი დააკლდა

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე ინგლისის ეროვნული გუნდი მზადების მეორე ეტაპს ლონდონში, თვიქნემზე გადის. **მარტინ ჯონსონმა** უელსელებთან ტესტმატჩამდე ორმხრივი თამაში გამართა. გუნდებმა, რომლებიც თანაბრად იყო დაკომპლექტებული გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეებით, სამი ოც-ოცწუთიანი ტაიმი ითამაშეს.

ინგლისელ ქომაგთა სამწუხაროდ, თამაშისას სერიოზულად დაშავდნენ და მოედნიდან საკაცეებით გაიყვანეს მეორეხაზელი **კორტნი ლოუ** და გარემარბი **დევიდ სტრიტლი**. ჯონსონს ლოუს ტრავმა ნაკლებად აშინებს, მან კისერი დაიზიანა, საავადმყოფოში რენტგენის გადაღების შედეგად დადგინდა, რომ საშიში არაფერია. რამდენი ხნის შემდეგ შეძლებს ლოუ ვარჯიშის განახლებას, ამას ექიმები კვირას კონსილიუმის შემდეგ გადაწყვეტენ.

გაცილებით სერიოზულადაა დაშავებული „სარასენზის“ გარემარბი დევიდ სტრიტლი. ადვილი შესაძლებელია ის მსოფლიოს თასის მიღმა დარჩეს.

ორმხრივ თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ **მაიკ თინდოლს** და **ტომას ვალდრომს**, სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო ბრძოლაში მგეზავი **ჯონი ვილკინსონი.**

*„საკმაოდ დატვირთული კვირა გამოგვივიდა. ბიჭები ხალისით ვარჯიშობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში სერიოზული კონკურენციაა,“* - თქვა მარტინ ჯონსონმა.

„პომების“ თავკაცი მომავალი კვირის დასაწყისში, სავარაუდოდ, 45-კაციან შემადგენლობიდან ექვსს შინ გაუშვებს.

**ინგლისის ნაკრები**

შერკინება: **მორის ბოთა, ჯორჯ ჩატერი, დენ კოლი, ალექს კორბისერო, ტომ კროფტი, ლუის დეკონი, პაულ დორან ჯოუნზი, ნიკ ისტერი, ჰენრი ფური, დილან ჰარტლი, ჯეიმზ ჰესკელი, კორტნი ლოუ, ლი მირსი, ლუის მუდი, ტომ პელმერი, ტიმ რაიანი, კრის რობშოუ, საიმონ შოუ, ანდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, სტივ თომსონი, თომ ვალდრომი, დევიდ ვილსონი, ტომ ვუდი, ჯო ვორსლი.**

უკანა ხაზი: **დელონ ერმითიჯი, კრის ეშტონი, მეთ ბანაჰანი, დენ კერი, მარკ კუეტო, ტობი ფლუდი, რიკუ ფლატი, ბენ ფოდენი, შონთაი ჰეპი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, ჩარლი შარპი, ჯო სიმპსონი, ჯეიმზ სიმპსონ-დენიელი, დევიდ დტრიტლი, მაიკ თინდოლი, მანუ ტულიგაი, რიჩარდ ვიგლსვორსი, ჯონი ვილკინსონი, ბენ იანგზი.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ჩემპიონის გარეშე გააგრძელებენ


მარინა ერაკოვიჩი

როგორც მოსალოდნელი იყო, სტენფორდის პუბლიკა მეოთხედფინალში სუპერმატჩს იხილავს. **სერენა უილიამსმა** გაიარა მეორე წრის ბარიერი და ნახევარფინალის საგზურისთვის **მარია შარაპოვას** შეხვდება.

რუსმა წინა დღეს დაამარცხა **დანიელა ჰანტუხოვა**, სერენა კი გუშინ ხვდებოდა შარაპოვას თანამემამულე **მარია კირილენკოს**. მასპინძელმა იოლად მოიგო პირველი სეტი - 6:2, მაგრამ შემდეგ ისევ შეაწუხა ტრავმამ. ამჯერად უმცროს უილიამსს მუხლი ასტკივდა და სამედიცინო ტაიმ-აუტის აღებმ მოუწია. ამის შემდეგ ამერიკელი კარგა ხანი ვეღარ ჩადგა ფორმაში, რის გამოც კირილენკომ მეორე სეტიც მოიგო და მესამეში პირველი გეიმი მას დარჩა.

მხოლოდ ამის შემდეგ ათამაშდა სერენა ჩვეულ აგრესიულ სტილში და შემდეგი შვიდი გეიმიდან ექვსი მას დარჩა, რამაც მეოთხედფინალის საგზური მოუტანა.

დიდი სენსაციის ავტორი გახდა 23 წლის ზელანდიელი **მარინა ერაკოვიჩი**. ხორვატიაში დაბადებულმა ჩოგბურთელმა შარშანდელი ჩემპიონი, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** გამოთიშა ბრძოლას. მსოფლიოს 121-ე ნომრისთვის ეს პირველი გამარჯვებაა რეიტინგის ტოპ-ოცეულის წარმომადგენელთან.

აზარენკას ერაკოვიჩთან წაგებამდე ბოლო 40 მატჩში 33 მოგება ჰქონდა. უიმბლდონის ნახევარფინალში წაგების შემდეგ ეს მისი პირველი მატჩი იყო და ისე გამოვიდა, რომ ბელარუსმა ამ სეზონში მეორედ წააგო ზედიზედ ორი შეხვედრა.

კვლავაც შესანიშნავ ფორმაშია უიმბლდონის ერთ-ერთი ტრიუმფატორი **საბინ ლისიცკი**. გერმანელმა 13 ეისის დახმარებით ორ სეტში დაამარცხა **სამანტა სტოსური**, რომელთან ერთადაც ამერიკის ღია პირველობაზე წყვილებში უნდა ითამაშოს. ლისიცკი წელს მეოთხე ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**II წრე**

**აიუმი მორიტა (იაპ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 4:6, 7:5, 6:1; ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-**მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ)** 6:4, 5:7, 2:6; **სერენა უილიამსი (აშშ)**-მარია კირილენკო (რუს) 6:2, 3:6, 6:2; **საბინ ლისიცკი (გერ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:3, 7:5.

**Citi Open**

კოლეჯ პარკი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**II წრე**

**ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:1, 6:2; ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)-სტეფანი დუბუა (კან) 6:3, 5:7, 1:6; **შაარ პეერი (ისრ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 6:4; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:3, 6:1.

# ერთი ფავორიტის გარეშე

ხორვატიის ქალაქ უმაგში ბრძოლას გამოეთიშა პირველ ნომრად განთესილი **ხუან-იგნასიო ჩელა**. არადა, არგენტინელისთვის იტალიელ **პოტიტო სტარაჩესთან** მატჩი კარგად უნდა დასრულებულიყო - ჩელამ მესამე სეტის დასაწყისში ორი ბრეიკი გააკეთა და 3:0 დაწინაურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და ამისთვის დაისაჯა კიდეც.

ჩელას გავარდნის შემდეგ უმაგში მთავარ ფავორიტად იქცა მასპინძელი **მარინ ჩილიჩი**, რომელსაც რთული ბრძოლის გადატანა მოუხდა ჰოლანდიელი **რობინ ჰაასეს** წინააღმდეგ. ხორვატმა ცხრიდან შვიდი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და სწორედ მნიშვნელოვან ბურთებზე ზუსტი თამაშის წყალობით შეძლო მატჩის გადარჩენა.

■ ■ ■

სამაგიეროდ, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა ლოს ანჯელესის ტურნირის პირველ ნომერ **მარდი ფიშს**, რომელმაც ორ სეტში დაამარცხა **ჟილ მიულერი**. ამერიკელს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, როცა სეტბოლის მოგერიებამ მოუწია, სამაგიეროდ, ტაი-ბრეიკზე დომინირებდა და შემოკლებული გეიმი 7:1 მოიგო. მეორე სეტი კი ფორმალობა გახდა და იქ ფიშმა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მოწინააღმდეგეს.

ფიშმა გასულ კვირას ატლანტას ტურნირი მოიგო და ახლა ზედიზედ მეორე ტიტულს უმიზნებს. სხვათა შორის, ატლანტაში მიულერმაც კარგად ითამაშა და იქ ნახევარფინალამდე გააღწია.

■ ■ ■

რაც შეეხება გშტაადის ტურნირს, აქ სათამაშო დღის სრულად დამთავრება კვლავ წვიმის გამო ვერ მოხერხდა. დასრულებული თამაშებიდან კი აღსანიშნავია მასპინძელი **სტანისლას ვავრინკას** იოლი მოგება ავსტრალიელი **პეტერ ლუჩაკის** წინააღმდეგ. შვეიცარიელმა ცხრა ეისი დააგროვა და სტაბილური პირველი მოწოდების ხარჯზე მოიგო მატჩი.

მისი მეტოქე მეოთხედფინალში **მარსელ გრანოლერსი** იქნება, ვინც რუსი **იგორ ანდრეევი** გაანადგურა - 6:1, 6:3. ასევე გავიდნენ შემდეგ წრეში ესპანელი ფავორიტები- **ფერნანდო ვერდასკო** და **ფელისიანო ლოპესი**, რაც შეეხება ტურნირის პირველ ნომერს, ასევე ესპანელ **ნიკოლას ალმაგროს**, წვიმის გამო სწორედ მისი შეხვედრა გადაიდო ფინელი **იარკო ნიემინენის** წინააღმდეგ.

**ATP**

**Farmers Classic**

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 619 500 დოლარი

**II წრე**

გრიგორ დიმიტროვი (ბულ)-**ალექს ბოგომოლოვი (აშშ)** 4:6, 3:6; რაიან სვიტინგი (აშშ)-**იგორ კუნიცინი (რუს)** 6:7, 6:7; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:0, 6:1; მარდი ფიში (აშშ)-ჟილ მიულერი (ლუქ) 7:6, 6:1.

**Croatia Open**

უმაგი (ხორვატია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**II წრე**

**ფაბიო ფონინი (იტა)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:4, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 4:6, 6:4, 6:3; დიეგო ხუნკეირა (არგ)-**ანდრეას სეპი (იტა)** - 5:7, 1:6; ხუან იგნასიო ჩელა (არგ)-**პოტიტო სტარაჩე (იტა)** 6:4, 4:6, 5:7.

**Suisse Open**

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**II წრე**

**ჟულიან ბენეტო (საფ)**-მატიას ბახინგერი (გერ) 6:4, 6:4; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:1,6:3; სანტიაგო ხირალდო (კოლ)-**ანდრეას ჰეიდერ-მაურერი (ავსტრია)** 6:3, 2:6, 4:6; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 4)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 6:3, 6:2; დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ)-**ფელისიანო ლოპესი (ესპ)** 3:6, 4:6; პეტერ ლუჩაკი (ავსტრა)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 3:6, 5:7.


სტანისლას ვავრინკა

ჩოგბურთი

## როდიკი კრიზისში

გრძელდება ამერიკული ჩოგბურთის ყოფილი ლიდერის **ენდი როდიკის** კრიზისი. „დიდი სლემის“ ტურნირების ორგზის გამარჯვებული მომავალ კვირას ვერ შეძლებს ვაშინგტონის ტურნირში გამოსვლას, სადაც სამჯერ აქვს მოპოვებული მთავარი პრიზი. ამის მიზეზი მუცლის კუნთის დაზიანებაა, რომელიც 28 წლის ჩოგბურთელმა ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას მიიღო.

ასევე ცნობილია, რომ ვაშინგტონში სხვადასხვა ხარისხის ტრავმის გამო კიდევ ოთხი ჩოგბურთელი ვერ ითამაშებს: ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**, ამერიკელი **სემ კუერი**, კანადელი **მილოშ რაონიჩი** და იაპონელი **კეი ნიშიკორი**.

ამერიკის დედაქალაქში პირველ ნომრად ფრანგი **გაელ მონფილსი** იქნება განთესილი.

კალათბურთი

## მარიხუანას გამავრცელებელი

31 წლის კალათბურთელი **როდნი უაიტი**, რომელსაც „დეტროიტის“, „დენვერისა“ და „გოლდენ სტეიტის“ რიგებში აქვს ნათამაშები, თავის მეგობარ გოგონასთან ერთად პოლიციამ დააპატიმრა. მიზეზი მარიხუანას მოყვანა გახდა.

ამერიკული პოლიციის ინფორმაციით, ფორვარდს მარიხუანას მოყვანისა და დამუშავების ორი იატაკქვეშა სანარმო ჰქონდა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში უაიტს ხანგრძლივი პატიმრობა ელის.

როდნიმ გასული სეზონი სამხრეთ კორეის ლიგაში გაატარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ავტომოტოსპორტი


ჰუნგარორინგი

# სარბოლო უქმეები

ივლისის ბოლო უქმეები სარბოლო სამყაროში ძალიან ცხელი იქნება. ფორმულა 1-ში ზაფხულის ერთთვიანი არდადეგების წინ გაიმართება ეტაპი უნგრეთის „ჰუნგარორინგზე“. ერთი წლის წინ აქ გამარჯვებას **მარკ უებერმა** მიაღწია, მაგრამ წელს მას იგივეს გამეორება გაუჭირდება: ზედიზედ ორი წაგების შემდეგ **სებასტიან ფეტელი** რეაბილიტაციას გეგმავს, თანაც ბოლო ორი გრანპრის ტრიუმფატორები - **ფერნანდო ალონსო** და **ლუის ჰემილტონი** მზად არიან წარმატებული სერიის გასაგრძელებლად.

GP2-ის მრბოლელები იგივე ავტოდრომს ესტუმრებიან და დღეისთვის გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი აქვს **რომან გროსჟანს. გიდო ვან დერ გარდე** ფრანგს 18 ქულით ჩამორჩება, **შარლ პიკმა** ამ სეზონში სამი რბოლა მოიგო, მაგრამ ძალიან არასტაბილურია, რაც ტიტულზე პრეტენზიის გამოცხადების საშუალებას არ აძლევს.

ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდება რალიში მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთში „ათასი ტბის“ რალიში გამარჯვებაზე ნებისმიერი მრბოლელი ოცნებობს, მაგრამ ყველაზე ხშირად ეს ფინელებს გამოსდით. ამჯერადაც **მიკო ჰირვონენი სებასტიან ლოების** დასამარცხებლად ემზადება.

სუპერბაიკის ოსტატები კი სილვერსტოუნს ეწვევიან, სადაც მორიგი ეტაპი გაიმართება. ცოტა ხნის წინ ისე ჩანდა, რომ **კარლოს ჩეკას** ლიდერობას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ბოლო ოთხ რბოლაში **მაქს ბიაჯიმ** და **მარკო მელანდრიმ** აჩვენეს, რომ ჯერ ნაადრევია მათი ჩამოწერა.

**ფორმულა 1**

**უნგრეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - ჰუნგარორინგი, უნგრეთი
**წრის სიგრძე** - 4 381 მ
**საუკეთესო წრე** - 1:19,071 (შუმახერი, 2004)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 216 ქულა
2. უებერი (რედ ბული) - 139
3. ჰემილტონი (მაკლარენი) - 134
4. ალონსო (ფერარი) - 130
5. ბატონი (მაკლარენი) - 109
6. მასა (ფერარი) - 62
7. როსბერგი (მერსედესი) - 46
8. ჰაიდფელდი (რენო) - 34

**განრიგი**

29 ივლისი, 12:00 - I პრაქტიკა
29 ივლისი, 16:00 - II პრაქტიკა
30 ივლისი, 13:00 - III პრაქტიკა
30 ივლისი, 16:00 - კვალიფიკაცია
31 ივლისი, 16:00 - რბოლა

**GP2**

**უნგრეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - ჰუნგარორინგი, უნგრეთი
**წრის სიგრძე** - 4 381 მ
**შარშანდელი გამარჯვებულები** - მალდონადო, რიჩი

**საერთო ჩათვლა**

1. გროსჟანი - 59 ქულა
2. ვან დერ გარდე - 41
3. პიკი - 34
4. ბიორდი - 33
5. ბიანკი - 32
6. ვალსეკი - 30

**განრიგი**

29 ივლისი, 17:55 - კვალიფიკაცია
30 ივლისი, 17:40 - I რბოლა
31 ივლისი, 12:35 - II რბოლა

**რალი**

**ფინეთის რალი**

შტაბი - იუვიასკიულა
საფარი - ღორღი
სპეცმონაკვეთები - 22
შარშანდელი გამარჯვებული - ლატვალა

**საერთო ჩათვლა**

1. ლოები (Citroen) - 146 ქულა
2. ჰირვონენი (Ford Fiesta) - 129
3. ოჟიე (Citroen) - 124
4. ლატვალა (Ford Fiesta) - 76
5. სოლბერგი (Citroen) - 73
6. ოსტბერგი (Ford Fiesta) - 48

**სუპერბაიკი**

**IX ეტაპი**

**ჩატარების ადგილი** - სილვერსტოუნი, ბრიტანეთი
**წრის სიგრძე** - 5 902 მ
**შარშანდელი გამარჯვებულები** - კრატჩლოუ

**საერთო ჩათვლა**

1. ჩეკა (დუკატი) - 293 ქულა
2. ბიაჯი (აპრილია) - 263
3. მელანდრი (იამაჰა) - 240
4. ლეივერსი (იამაჰა) - 168
5. ჰასლემი (BMW) - 137
6. კემერი (აპრილია) - 134
7. ფაბრიციო (სუძუკი) - 134
8. ბადოვინი (BMW) - 106

**განრიგი**

30 ივლისი, 18:00 - სუპერპოული
31 ივლისი, 15:00 - I რბოლა
31 ივლისი, 18:30 - II რბოლა

## ბერნი თურქეთს გააგდებს

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** 2012 წლის სეზონისთვის კალენდრის გადახალისებას აპირებს. როგორც ჟურნალი „ავტოსპორტი“ წერს, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ გაისად არ გაიმართება თურქეთის გრანპრი, დანარჩენი ეტაპები კი გეოგრაფიული პრინციპით გადანაწილდება. ამასთან, არ შეიცვლება ევროპაში გასამართი რბოლების თანმიმდევრობა.

წინასწარი პროექტის თანახმად, მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატი ავსტრალიაში დაიწყება, მეორე ეტაპი მალაიზიაში გაიმართება, შემდეგ მოდის ჩინეთი და ინდოეთი, რის შემდეგაც გუნდები ევროპაში გადავლენ. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის, რომ აშშ-ის გრან-პრი სეზონის ბოლოსთვის გადაიტანონ - ნესით, ის ბოლოსწინა ეტაპი იქნება, სეზონი კი ბრაზილიაში დასრულდება. შეგახსენებთ, რომ დაგეგმილი ცვლილებები უნდა მოიწონონ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ და ყველა გუნდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მათ ვერავინ დაეწევა

NBA-ის რეკორდების შესახებ ბევრი ლაპარაკი შეიძლება. მაგალითად, არასოდეს შეწყდება მსჯელობა იმაზე, ვინ და როდის დააგროვებს 100 ქულაზე მეტს და მოხსნის უილტ ჩემბერლენის რეკორდს.

პრაქტიკულად ნებისმიერ სეზონში თანამედროვეობის რომელიმე მოთამაშე ახერხებს თავისი წინამორბედების ამა თუ იმ რეკორდის გაუმჯობესებას (როგორც ეს წელს რეი ალენმა გააკეთა, რომელსაც ახლა ყველაზე მეტი სამქულიანი აქვს ჩაგდებული ლიგის ისტორიაში), მაგრამ არის რამდენიმე ისეთი მიღწევა, რომელსაც „მუდმივს" უწოდებენ. ვებგვერდი Bleacherreport 15 ასეთი რეკორდის სიას გვთავაზობს.

## 15. მარკ იტონი

***სეზონში დაფარებების საშუალო რაოდენობა: 5.6***

დღეს ყველა აღფრთოვანებულია დაცვაში **დუაიტ ჰოვარდის** თამაშით. რა თქმა უნდა, „ორლანდოს" ცენტრი მართლაც ძლიერი მოთამაშეა, ფიზიკურად ძლიერი და თან ჭკვიანი. მაგრამ **მარკ იტონამდე** მას ბევრი უკლია (ჰოვარდის საუკეთესო მაჩვენებელი საშუალოდ სეზონში 2.9 დაფარებაა - 2008-09 წლების სეზონი). 224 სანტიმეტრის სიმაღლის მარკი ფარქვეშ საშიში ძალა იყო. ხანდახან მეტოქე სასაცილოდ გამოიყურებოდა - იტონი არავის აძლევდა სროლის საშუალებას და თითქმის ყველა დარტყმას აფარებდა.

## 14. რაშიდ უოლასი

***სეზონში ტექნიკური პერსონალურების რაოდენობა: 41***

**უოლასი** მართლაც მაღალი კლასის კალათბურთელი იყო, მაგრამ პირველი, რაც გონებაში რაშიდის სახელის წარმოთქმისას მოგდის - მისი საქციელი იყო. ძირითადად, მის გამო შემოიღო ლიგამ წესი, რომელიც კალათბურთელს მსაჯის გადაწყვეტილებაზე ემოციების გამოხატვას უკრძალავს. საინტერესოა, რამდენ პერსონალურს მიიღებდა რაშიდი ახალი წესებით რომ ეთამაშა? რთული წარმოსადგენია, რომ უახლოეს პერიოდში უოლასის ეს „მიღწევა" (2000-01 წლების სეზონი) ვინმემ გააუმჯობესოს.

## 13. რობერტ პერიში

***ჩატარებული მატჩების რაოდენობა: 1611***

„ბოსტონის" ცენტრს ფანტასტიკური კარიერა ჰქონდა და უამრავი მატჩის ჩატარება მოასწრო. მთავარია, რომ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო და სკამზე დიდხანს ჯდომა არ უწევდა. იმის გასაცნობიერებლად, თუ რამდენად დიადია **პერიშის** რეკორდი, სხვა მოთამაშეების მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობას შემოგთავაზებთ: მეორე ადგილზე მყოფ **ქარიმ-აბდულ ჯაბარს** 51 მატჩით ნაკლები აქვს, სახელგანთქმულ **კარლ მელოუნს**, რომელიც თითქოს მუდმივად თამაშობდა, პერიშის რეკორდამდე 135 მატჩი დააკლდა. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ პერიშის სიმაღლე 213 სანტიმეტრი იყო, ასეთი მოთამაშეები კი, როგორც წესი, კარიერას გაცილებით ადრე ასრულებენ, ვიდრე უფრო ტანდაბალი კალათბურთელები. ეს ფიზიოლოგიასთან არის დაკავშირებული და, რა თქმა უნდა, ტრავმების რაოდენობასთან.

## 12. ხოსე კალდერონი

***სეზონში ჯარიმების გამოყენების პროცენტი: 98.1***

2008-09 წლების სეზონში „ტორონტოში" მოთამაშე **კალდერონი** თითქმის არ ცდებოდა საჯარიმოს ხაზიდან. მან ფანტასტიკური შედეგი დააფიქსირა - 154 ჯარიმიდან კალათში 151 მოათავსა.

## 11. სკოტ სკაილზი

***შედეგიანი პასების რაოდენობა მატჩში: 30***

**სკაილზი** დიადი კალათბურთელების რიცხვში არასოდეს შეუყვანიათ, მაგრამ მას ერთი გრანდიოზული მიღწევა ეკუთვნის. 1990 წელს, მაშინ „ორლანდოს" შემადგენლობაში მოთამაშე სკაილზმა „დენვერთან" მატჩში ჯადოსნურად ითამაშა. მისი დახმარებით გუნდმა 155 ქულა დააგროვა, მაგრამ ეს მატჩის შემდეგ ცოტა ვინმეს თუ აღელვებდა - ყველა აღფრთოვანებული იყო სკოტის მიღწევით.

## 10. უილტ ჩემბერლენი

***ზედიზედ მატჩების რაოდენობა, რომელშიც კალათბურთელი 30 ან მეტ ქულას აგროვებდა: 65***

ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ **ჩემბერლენი** ამ თამაშის ისტორიაში საუკეთესო კალათბურთელად - ერთ-ერთი სწორედ ეს რეკორდია. დღეს არარეალურია იმის წარმოდგენა, რომ კალათბურთელმა თითქმის მთელი რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში ასე შედეგიანად ითამაშოს. ამბობენ, რომ უილტის დროს მოთამაშეების საერთო დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე დღეს, მაგრამ ეს მოსაზრება ჩემბერლენის ამ ბრწყინვალე რეკორდს ჩრდილს ვერ აყენებს.



უილტ ჩემბერლენი

## 9. ლეიკერსი 1971-72

***ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობა: 33***

მაშინ „ლეიკერსს" ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავდა და ეს რეკორდიც ამიტომ არ არის გასაკვირი. იმ წელს **ჯერი უესტმა** და კომპანიამ ზედიზედ მოგებათა რეკორდის გარდა, სეზონში გამარჯვებათა რაოდენობითაც ახალი ორიენტირი დააფიქსირა (69 მოგება, რომელიც მოგვიანებით „ჩიკაგომ" გააუმჯობესა). არც ის იყო გასაკვირი, რომ „ლეიკერსი" საბოლოოდ ჩემპიონი გახდა.

## 8. ოსკარ რობერტსონი

***სასეზონო სამმაგი დუბლი: 30.8 ქულა, 12.5 მოხსნა, 11.4 პასი***

1961-62 წლების სეზონში **რობერტსონმა** უბრალოდ გენიალურად ითამაშა. ამ სასეზონო სამმაგი დუბლის გარდა ოსკარს სხვა ბრწყინვალე სტატისტიკური მიღწევები ჰქონდა: ჯარიმების საშუალო რაოდენობა მატჩში - 11 (რეალიზაციის პროცენტი - 80.3); თამაშში ტყორცნების საშუალო რაოდენობა - 22.9 (რეალიზაციის პროცენტი - 47.8). ალბათ, ყველა მწვრთნელი იოცნებებდა ასეთი კალათბურთელის გუნდში ყოლას.

## 7. ჯონ სტოქტონი

***შედეგიანი პასების რაოდენობა კარიერაში: 15 806***

**ჯონ სტოქტონის** მიერ შესრულებული შედეგიანი გადაცემების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია მისი თუნდაც ერთი კონკურენტის დასახელება. მოქმედ მცველებს შორის „იუტას" გამთამაშებელთან ყველაზე ახლოს **ჯეისონ კიდი** იმყოფება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ორ კალათბურთელს შორის სხვაობა დაახლოებით 4 ათასი პასია.

## 6. ქარიმ აბდულ-ჯაბარი

***ქულების რაოდენობა კარიერაში: 38 378***

როგორც ჩანს, **ქარიმ აბულ-ჯაბარს** ყველაზე კარგად შეეძლო ფარში სროლა, რადგან მის ფანტასტიკურ შედეგს ვერავინ მიუახლოვდა. ეჭვგარეშეა, რომ ეს რეკორდი კიდევ დიდხანს იცოცხლებს, რადგან მას თვით **მაიკლ ჯორდანმაც** ვერაფერი მოუხერხა და 32 292 ქულაზე გაჩერდა. იქნებ **კობი ბრაიანტმა** სცადოს რეკორდის მოხსნა, თუმცა „შავ მამბას" „ლეიკერსის" მეორე ლეგენდამდე ჯერ ძალიან ბევრი უკლია.

## 5. ჩიკაგო

***სეზონში მოგებების რაოდენობა: 72***

კარგი გუნდისთვის ნორმალური მაჩვენებელია სეზონში 60-65 გამარჯვება. ის, რაც **მაიკლ ჯორდანმა** და მისმა გუნდმა გააკეთეს, ფანტასტიკას ჰგავს. ეს რეკორდი კიდევ დიდხანს იქნება ისტორიაში და მის დამხობას ისეთივე დიადი გუნდი შეძლებს, როგორიც „ჩიკაგო" იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში.

## 4. ეი სი გრინი

***ერთი კალათბურთელის მიერ ზედიზედ ჩატარებული მატჩების რაოდენობა: 1 192***

**ეი სი გრინი** მართლაც „რკინის კაცი" აღმოჩნდა. რთული დასაჯერებელია, რომ ამ კალათბურთელმა 14 სეზონზე მეტი ტრავმისა და თამაშის გამოტოვების გარეშე ითამაშა. ასეთი რამ დღეს უბრალოდ შეუძლებელია. ეს არის მაგალითი ადამიანისა, რომელიც სამუშაოს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

## 3. უილტ ჩემბერლენი

***სადებიუტო სეზონში ერთ მატჩში ქულების საშუალო რაოდენობა: 50.4***

ამ მიღწევის უკომენტაროდ დატოვება შეიძლება. დღეს რთული წარმოსადგენია, რომ რომელიმე ახალბედამ საშუალოდ მატჩში 50 ქულა ჩააგდოს. ამიტომაც კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ჩემბერლენი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა კალათბურთის ისტორიაში.

## 2. ბილ რასელი

***ერთი კალათბურთელის მიერ მოგებული ტიტულების რაოდენობა: 11***

**რასელის** დროს ასეთი ფრაზა იყო პოპულარული - „ტიტულს იგებს დაცვა". და მართლაც, ბრწყინვალე დაცვის მქონე „ბოსტონმა" 13 სეზონში 11 ტიტული მოიგო, რასელი კი ზედიზედ ათი სეზონის განმავლობაში საშუალოდ მატჩში ოცზე მეტ მოხსნას აგროვებდა.

## 1. უილტ ჩემბერლენი

***ერთ მატჩში ქულების რაოდენობა: 100***

ფაქტია, რომ ამ რეკორდს კიდევ დიდი ხანი ვერავინ მიუახლოვდება. 2006 წელს კობი ბრაიანტმა „ტორონტოსთან" მატჩში დიად შედეგს მიაღწია - 81 ქულა დააგროვა, მაგრამ ეს მთელი 19 ქულით ნაკლები იყო უილტის შედეგზე. სამწუხაროა, მხოლოდ ოთხი ათასმა ადამიანმა უყურა იმას, როგორ მიაღწია სამნიშნა რიცხვს ჩემბერლენმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### მს. ჩემპიონატი

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| ინგლისი-ჩრ. კორეა | 0:0 |

### ევრო 2011

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-სერბეთი | 4:2 |
| ესპანეთი-ირლანდია | 5:0 |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ტორინო-ფიორენტინა | 0:0 |
| სპარტა-ვაალვიკი | 2:0 |
| ვეენდამი-ემენი | 1:3 |
| ექსელსიორი-ვილემი | 0:0 |
| როდა-მალაგა | 1:2 |
| ვუპერტალი-მუნსტერი | 3:0 |
| ანტვერპენი-ხეტაფე | 3:1 |
| იგლზი-მალიორკა | 3:1 |
| მიდლსბრო-პსვ ეინდჰოვენი | 2:3 |
| შრიუსბერი-ტრანმერი | 0:2 |
| გრიმსბი-დონკასტერი | 0:3 |

### ინგლისი

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ქროული-უიმბლდონი | 3:2 |

### გერმანიის თასი

**1/32 ფინალი**

| | |
|---|---|
| ოსნაბრიუკი-მიუნხენი | 2:2 დ.დ 2:3 |
| ლაიპციგი-ვოლფსბურგი | 3:2 |
| რეგენსბურგი-ბორუსია (მ) | 1:3 |
| ესენი-უნიონი | 2:2 პენ 4:3 |
| ზააბრიუკენი-აუე | 1:1 დ.დ 1:3 |
| ვეენი-შტუტგარტი | 1:2 |

### საფრანგეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ამიენი-ტრუა | 1:1 |
| ანჟერსი-ჰავრი | 1:2 |
| ბასტია-ისტრი | 3:1 |
| გინგამი-შატორუ | 1:1 |
| ლავალი-კლერმონი | 1:2 |
| სედანი-ნანტი | 2:0 |
| ტური-მეცი | 1:0 |
| არლი-ლე მანი | 1:0 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| ჰევერლე-ანდერლეხტი | 2:1 |

### ავსტრია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-სტ. ანდრა | 1:2 |
| გლაუ ვაისი-სტ. პოლტენი | 1:2 |
| ლუშტენაუ-გრიოდიგი | 1:3 |
| ჰარტბერგი-აუსტრია (ლ) | 2:3 |
| ვენა-ლინცერი | 0:1 |

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კიასო-კრინსი | 2:1 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| დუკლა-სიგმა | 0:0 |
| ბოჰემიანსი 1905-სლავია | 2:0 |

### უკრაინა

| | |
|---|---|
| ობოლონი-ზორია | 0:0 |
| ვოლინი-მეტალისტი | 0:3 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ლკს-ლეხი | 0:5 |
| პოლონია-ლეჩია | 1:0 |

### ხორვატია

| | |
|---|---|
| ინკერი-ლოკომოტივა | 1:1 |
| ზაგრები-კარლოვაცი | 3:0 |

### უნგრეთი

| | |
|---|---|
| დიორი-ჰალადაში | 1:0 |

### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ვიტებსკი-ბატე | 0:1 |

### ლიტვა

| | |
|---|---|
| დაინავა-ბანგა | 2:4 |

## ჩოგბურთი

### ATP. გშტაადი

| | |
|---|---|
| ალმაგრო-ნიემინენი | 7:6, 6:3 |
| ჰაიდერ მაურერი-იუჟნი | 4:6, 7:5, 4:6 |
| გრანოლერსი-ვავრინკა | 6:3, 6:2 |
| ვერდასკო-ბენეტო | 6:4, 5:7, 6:1 |
| ალმაგრო-ფ. ლოპესი | 6:4, 7:5 |

### ATP. უმაგი

| | |
|---|---|
| სტკრაჩე-ფონინი | 6:3, 3:6, 1:6 |
| ჩილიჩი-სეპი | 6:1, 6:3 |
| დოლგოპოლოვი-რამოს ვინოლასი | 6:3, 7:5 |
| ბერლოკი-ფერერო | 1:6, 6:7 |

### WTA. სტენფორდი

| | |
|---|---|
| ბარტოლი-მორიტა | 6:1 შეწყდა |

### WTA. ვაშინგტონი

| | |
|---|---|
| პეერი-ბრიანტი | 6:1, 6:2 |

TV პროგრამა

## 30 ივლისი. შაბათი

### I არხი

22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. ბრაზილია (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

16:55 საერთაშორისო ტურნირი - EMIRATES CUP 2011. ნიუ იორკი-პსჟ (LIVE).
19:15 საერთაშორისო ტურნირი - EMIRATES CUP 2011. არსენალი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

19:00 თანამედროვე ხუთჭიდი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ინგლისი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-გრემიო (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

15:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ტერეკი (LIVE).
17:30 რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ანჟი (LIVE).
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ყუბანი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. გშტაადი. შვეიცარია (LIVE).
00:00 WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

03:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ფინიქსი (LIVE).

### EUROSPORT

14:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
17:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
20:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).
05:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. წინასწარი გაცურვები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

### EUROSPORT-2

16:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. კვალიფიკაცია. ოშერსლებენი. გერმანია (LIVE).
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია (LIVE).

## 31 ივლისი. კვირა

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

16:55 საერთაშორისო ტურნირი - EMIRATES CUP 2011. ბოკა ხუნიორსი-პსჟ (LIVE).
19:15 საერთაშორისო ტურნირი - EMIRATES CUP 2011. არსენალი-ნიუ იორკი (LIVE).
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ავაი-კორინთიანსი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

19:00 თანამედროვე ხუთჭიდი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ინგლისი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

19:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-ცსკა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

16:10 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-სპარტაკი (LIVE).
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ვოლგა (LIVE).
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-ლოკომოტივი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

12:00 WTA-ის ტური. ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).
01:00 ATP-ის ტური. ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

23:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო მინესოტა (LIVE).
02:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ლოს ანჯელესი (LIVE).

### EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. გასახურებელი წრე. ოშერსლებენი. გერმანია (LIVE).
11:30 ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ჰუნგარორინგი. უნგრეთი (LIVE).
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. ოშერსლებენი. გერმანია (LIVE).
14:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
16:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. ოშერსლებენი. გერმანია (LIVE).
18:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. დონინგტონი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).
00:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-კოსტა რიკა. კოლუმბია (LIVE).

### EUROSPORT-2

11:30 ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ჰუნგარორინგი. უნგრეთი (LIVE).
13:30 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. II რბოლა. ჰუნგარორინგი. უნგრეთი (LIVE).
15:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა. დონინგტონი (LIVE).
17:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-გვატემალა. კოლუმბია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ვოზნიაცკი ერთობა

# ივლისის არდადეგები



ფედერერი სარდინიაში



ჯოკოვიჩი და მისი საყვარელი პუდელი



მიურეი შინიდან იშვიათად გამოდიოდა

**ჩოგბურთის ვარსკვლავების არდადეგები დასასრულს მიუახლოვდა. ჩვენ რეგულარულად განვდიდით ინფორმაციას წამყვან მოთამაშეთა აქტიური დასვენების შესახებ, ახლა კი ერთგვარად შევაჯამებთ ამ თემას და გავარკვევთ, ვინ რა განწყობით ხვდება ამერიკული სერიის ტურნირებს.**

■ ■ ■

„მკვდარი სეზონი", ჩვეულებრივ უიმბლდონის დასრულების შემდეგ იწყება და ამერიკულ საჰარდო სერიის დაწყებამდე გრძელდება. ამ პერიოდში პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებს საშუალება აქვთ დაგეგმონ და მხიარულად გაატარონ მცირე შვებულება. ბუნებრივია, ეს შანსი მოთამაშეებმა არც წელს გაუშვეს ხელიდან.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტების მხრიდან ყველაზე დიდი ინტერესი **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **რაფაელ ნადალისკენ** იყო მიპყრობილი, თუმცა მსოფლიოს პირველმა ორმა ნომერმა გვარიანად ამუშავეს ფოტოგრაფები. დაძაბული ძებნის შემდეგ რაფა მალიორკაზე საკუთარ სახლთან ახლოს გამოიჭირეს, აგრეთვე მეზობელ კუნძულ ფორმენტერაზე. ნადალმა იქ განაცხადა, რომ მონრეალის მასტერსზე დაბრუნების იმედი აქვს.

ჯოკოვიჩი დასავლეთ სანაპიროს ქვემოთ დაუყვა და თავისი რეზიდენციიდან სან-ტროპეში გადავიდა. იქვე იყო მონაკოში მისი მეზობელი **კაროლინ ვოზნიაცკი.**

ყველაზე მოხერხებულად პაპარაცებს **როჯერ ფედერერი** უსხლტებოდა. საბოლოოდ, მას კუნძულ სარდინიაზე მიაგნეს, სადაც ფედერერი შარშან ვარჯიშობდა. ამჯერად ვარჯიში არ ყოფილა. თუმცა, თუ როჯერს არ სურს 2002 წლის შემდეგ პირველად სეზონში „დიდი სლემის" ტიტულის გარეშე დარჩეს, მან მალე უნდა მიატოვოს პლაჟი და ვარჯიშებს შეუდგეს.

**ენდი მიურეის** სიტყვებით, მისმა არდადეგებმა, ძირითადად, ტელევიზორის ეკრანის წინ ჩაიარა. მან თვალი ადევნა გოლფში ბრიტანეთის ლია პირველობას და განსაკუთრებით კომენტატორების ხუმრობით მოიხიბლა. ბრიტანელს არც მეორე სპორტული გართობა - კრივის ტრანსლაციები დავიწყებია.

დიდი ყურადღებაა მიპყრობილი ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანის კაროლინ ვოზნიაცკის პირადი ცხოვრების მიმართ. ჭორების მორიგი ტალღა მას შემდეგ აგორდა, რაც ჩოგბურთელი გოლფის ამომავალ ვარსკვლავთან - **რორი მაკილროისთან** ერთად ერთ-ერთ ლონდონურ რესტორანში დააფიქსირეს. რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა უყურადღებოდ დატოვეს დანიელის ფრაზა იმის შესახებ, რომ *„ამიერიდან, ნებისმიერი მამაკაცი, ვისთან ერთადაც რესტორანში ვსადილობ, ავტომატურად ჩემი ბოიფრენდი ხდება".*

■ ■ ■

რამდენიმე ჩოგბურთელმა საზაფხულო პაუზის დროს კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. **სიბილ ბამერმა** თავისი ბოლო მატჩი ითამაშა ბად-გაშტეინში, ბელგიელმა **კრისტოფ ვლიგენმაც** ჩამოკიდა ლურსმანზე თავისი ჩოგანი. შვედმა **სიმონ ასპელინმა,** რომელიც წყვილებში თამაშის ოსტატი იყო, ბაშტადში მშობლიურ ტურნირზე შეწყვიტა გამოსვლა, ხოლო ბელგიელმა **დიკ ნორმანმა** გამოაცხადა, რომ წყვილებში მისმა პარტნიორმა, სამხრეთ აფრიკელმა **უესლი მუდიმაც** გადაწყვიტა დიდი სპორტიდან წასვლა.

■ ■ ■

**კიმ კლაისტერსმა,** რომელმაც უიმბლდონი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა, ერთი თვე მოანდომა აღდგენით პროცესს და ახლა მზად არის კორტზე დასაბრუნებლად. *„რა თქმა უნდა, უიმბლდონის წინ ამ ტრავმამ ბევრი ნეგატიური ემოცია მოიტანა,* - განაცხადა ბელგიელმა, ვინც დაადასტურა, რომ დაბრუნების შემდეგ მისი პირველი ტურნირი ტორონტო იქნება. - *თითქმის ალვიდგინე კონდიციები, მოტივაციის მხრივ ყველაფერი წესრიგში მაქვს და იმედია, ყოველდღე მოვუმატებ".*

უიმბლდონის მიღმა დარჩენილმა კიდევ ერთმა ჩოგბურთელმა - **სემ კუერიმ** დაგეგმა აგვისტოში დაბრუნება. ამერიკელმა ეს პერიოდი იდაყვზე ოპერაციის გამო გამოტოვა.

■ ■ ■

როჯერ ფედერერის საქველმოქმედო ფონდი იწყებს პროექტს, რომლის მეშვეობითაც 3.3 მილიონი დოლარი უნდა შეგროვდეს მალავიში მოშიმშილე 50 ათასი ბავშვის დასახმარებლად. საკუთარი ფონდი დააარსა **რობინ სიოდერლინგმა** და მისი პრეზენტაცია ბაშტადის ტურნირის სტარტს დაამთხვია. ფონდს სათავეში ჩაუდგა ჩოგბურთელის გერლფრენდი **ჯენი მოსტრიომი.**

ATP-მ 10 ათასი დოლარის ოდენობის გრანტები გამოუყო 12 საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომლებიც ჩოგბურთში მოღვაწეობენ. მათ შორის აღმოჩნდნენ რაფაელ ნადალის, **დავიდ ნალბანდიანის, ტომი რობრედოს, ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **ივან ლუბიჩიჩის** ფონდები. ასევე მიიღეს გრანტები ვაშინგტონის, ტოკიოს, მემფისის, ბუქარესტისა და პეკინის ტურნირებმა, რითაც მათი საქველმოქმედო მოღვაწეობა დააფასეს.

ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოხტეს პოკერი

მსოფლიოს ჩემპიონატს ცურვაში უკვე ჰყავს ერთი გმირი. გუშინდელი ფინალების შემდეგ შანხაიში უკვე ოთხი ოქრო დაუგროვდა ამერიკელ **რაიან ლოხტეს.** წინა დღეს 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ურთულესი ფინალის შემდეგ ლოხტემ მოასწრო დასვენება და ძალიან იოლად გაიმარჯვა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. ამერიკელი მთელი დისტანცია ლიდერობდა და ერთხელ მსოფლიოს რეკორდსაც მიუახლოვდა.

ლოხტემ გუშინ მეორე ოქრო თანაგუნდელებთან ერთად 4x200 მეტრზე ესტაფეტაში მოიგო. ამერიკელებმა პირველ ეტაპზე **მაიკლ ფელპსი** დააყენეს, მაგრამ მან ვერ შეძლო საჭირო ჰანდიკაპის შექმნა და მესამე ადგილზე დაასრულა თავისი წილი 200 მეტრი. ამერიკას ბოლომდე ებრძოლა საფრანგეთი და რომ არა ლოხტე, ესტაფეტას ფრანგები მოიგებდნენ. სწორედ რაიანმა გაუსწრო ბოლო მეტრებზე **ფაბიან ჟილოს.**

კაცებში მესამე ფინალი 200 მეტრზე ბრასში გათამაშდა. მართალია, ლიდერისთვის განკუთვნილ მეოთხე ბილიკზე ცურავდა სახელოვანი იაპონელი **კოსუკე კიტაჯიმა,** მაგრამ მან მოულოდნელად წააგო **დანიელ დიურტასთან.** უნგრელმა 170 მეტრი სდია ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონს და ბოლოს გაასწრო კიდეც მას.

■ ■ ■

ვარსკვლავური შემადგენლობა შეიკრიბა ქალებს შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. აქ მაყურებელმა დღის ყველაზე დიდი სიურპრიზი იხილა. სანამ **დანა ვოლმერი, ალიში კოუტსი, ნატალი კაფლინი, ფემკე ჰეემსკერსი** და **ფრანჩესკა ჰოლსოლი** ერთმანეთის სპურტს დარაჯობდნენ, წინ გაიჭრნენ დანიელი **ჟანეტ ოტესენი** და ბელარუსი **ალექსანდრა გერასიმენია.** ისინი ისე შეწყობილად მოქმედებდნენ, რომ დროც ერთნაირი აჩვენეს და ოქროს მედლები მიიღეს.

ყველაზე პროგნოზირებადი ფინალი იყო ქალებში 200 მეტრზე ბრასი. ამერიკელი **რებეკა სონი** ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება და არავის უტოვებს შანსს. ეს სონისთვის მეორე ოქროა ამ ჩემპიონატში.



რაიან ლოხტე

**კაცები**

**200 მ. გულაღმა.** 1. რაიან ლოხტე (აშშ) - 1.52,96; 2. რიოსუკე ირიე (იაპ) - 1.54,11; 3. ტაილერ კლერი (აშშ) - 1.54,69..

**200 მ. ბრასი.** 1. დანიელ დიურტა (უნგ) - 2.08,41; 2. კოსუკე ნაკაჯიმა (იაპ) - 2.08,63; 3. კრისტიან ვომ ლენი (გერ) - 2.09,06...

**4x200 მ. ესტაფეტა.** 1. აშშ (ფელპსი, ვანდერკააი, ბერენსი, ლოხტე) - 7.02,67; 2. საფრანგეთი - 7.04,81; 3. ჩინეთი - 7.05,67.

**ქალები**

**200 მ. ბრასი.** 1. რებეკა სონი (აშშ) - 2,21,47; 2. იულია ეფიმოვა (რუს) - 2.22,22; 3. მარტინა მაკეიბი (კან) - 2.24,81...

**100 მ. თავისუფალი.** 1. ჟანეტ ოტესენი (დან) - 53,45; 1. ალექსანდრა გერასიმენია (ბლრ) - 53,45; 3. რანომი კრომოვიდიო (ჰოლ) - 53,66...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ქვირის ბოლოს



სპორტს ახალი სახეობები ემატება

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი